



„ქართული გენია როკით განუენილი“

საქართველოს ქორეოგრაფია

ბამოდის 1992 წლის იანვრიდან

№2-3 (36-37), თებერვალი-მარტი, 2012 წელი

საქართველოს ჟურნალისტთა ასოციაციის შემოქმედებითი კავშირი

2012 წლის 25 მარტი: ქართული საბავშვო ქორეოგრაფიის „იმედის“ ვარსკვლავი



2012 წლის 25 მარტს დიდ საკონცერტო დარბაზში საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მერიის მხარდაჭერით ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „იმედის“ საიუბილეო კონცერტი ჩატარდა. ასევე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გადამწყვეტილებით დიდი საკონცერტო დარბაზის წინ გაიხსნა ანსამბლ „იმედის“ ვარსკვლავი. ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი“ შეიქმნა 1987 წელს. ხელმძღვანელები არიან ქორეოგრაფები ნუნუ ლვინერია და ჯემალ რეხვიაშვილი. 2011 წლის მიწურულს „იმედს“ მიენიჭა ბავშვთა სანიმუშო ანსამბლის წოდება. 2012 წელი ანსამბლისათვის საიუბილეო წელია, მას დაარსებიდან 25 წელი შეუსრულდა.

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი გულითადად მიესალმება ანსამბლის ხელმძღვანელობას და ულოცავს ამ ღირსსახსოვარ თარიღს, მადლობას უცხადებს ქართული საბავშვო ქორეოგრაფიის სრულყოფა-განვითარებაში შეტანილი უდიდესი წვლილისათვის.

თენგიზ სუხიშვილი (არქივიდან):
სიტყვები არ მყოფნის! „იმედის“ ბავშვები ქართული ქორეოგრაფიის ხვალისდელი დღეა!...ეს ბავშვები ნამდვილი პროფესიონალები არიან. გულწრფელად გეუბნებით, „იმედი“ ნამდვილად იმსახურებს აკადემიური ანსამბლის სტატუსს.

ომარ მხეიძე, საქართველოს სახალხო არტისტი:
უსაზღვროდ ბედნიერი ვარ. შეუძლებელია, უემოციოდ უყურო „იმედის“ ბავშვების გამოსვლას. რა მართალი ყოფილა ჩვენი დიდებული მწერალი გრიგოლ რობაქიძე, როცა თქვა: ქართულს სხვა ერის წარმომადგენელი ქართველი ვერ იცეკვებს, მას რასა არ ეყოფაო. მოვიდნენ და ნახონ ეს ულამაზესი გოგო-ბიჭები, როგორ ცეკვავენ, როგორია მათი რასა. დღეს დიდი ზეიმი – კიდევ ერთხელ გაბრწყინდა „ქართული გენია როკით განუენილი“. ყველას ვულოცავ, განსაკუთრებით ჯემალ რეხვიაშვილსა და ნუნუ ლვინერიას.

ფრიდონ სულაბერიძე, ანსამბლ „რუსთავის“ მთავარი ქორეოგრაფი, საქართველოს სახალხო არტისტი:

ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი“ პირველი ანსამბლია ქართული ქორეოგრაფიის ისტორიაში, რომელსაც ვარსკვლავი გაუხსნეს. შესანიშნავად ცეკვავენ შესანიშნავი ქორეოგრაფების მიერ შესანიშნავად დადგმულ ცეკვებს, ერთ ხინჯს ვერ მოუძებნი ამ ლამაზი გოგო-ბიჭების გამოსვლას, არცერთი ზედმეტი, ყალბი მოძრაობა, ნამდვილად ღირსეული ანსამბლია. უდიდესი შრომა გასწიეს ქალბატონმა ნუნუ ლვინერიამ და ბატონმა ჯემალ რეხვიაშვილმა. დადებითი ემოციებით აღსავსე ვარ. დიდი მადლობა ამ ანსამბლის წევრებს, მათ მშობლებს, ანსამბლის ხელმძღვანელებს, მხარდამჭერებს. მადლობა მთავრობას ქართული ქორეოგრაფიის ისტორიაში ამ შესანიშნავი ფურცლის ჩაწერისათვის.

ზაურ პაპიაშვილი, ანსამბლ „პატარა მამულის“ მთავარი ქორეოგრაფი და ხელმძღვანელი:

„იმედი“ მაგარი ანსამბლია, იმიტომ, რომ მაგარი ქორეოგრაფები ხელმძღვანელობენ. ნამდვილი ზეიმი იყო ჯერ კონცერტი, შემდეგ კი ზეიმის გვირგვინი – ვარსკვლავის გახსნა. ეს ვარსკვლავი პირველია, რომელიც ბავშვთა ანსამბლს გაუხსნეს, იგი ანსამბლის ყველა თაობას ეკუთვნის, 25 წლის მანძილზე ბევრმა ბავშვმა იცეკვა „იმედში“. ყველას ვულოცავ!

თენგიზ უთმელიძე, საქართველოს სახალხო არტისტი:
დღევანდელი დღე ოქროს ასოებით ჩაინერება ქართული ქორეოგრაფიის ისტორიაში – პირველად გაიხსნა ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის ვარსკვლავი. ეს დღე მომავალში სხვაგვარად უნდა აღინიშნოს. დიდი შრომა ჩადეს ანსამბლის დაოსტატებაში ჯემალ რეხვიაშვილმა და ნუნუ ლვინერიამ. ვულოცავ უდიდეს აღიარებას. მათ საბავშვო ანსამბლებს გზა გაუკვალეს. სახელიც რა კარგადაა შერჩეული – „იმედი“. უჩა დვალიშვილმა გააუღერა დღეს და მეც დავეთანხმები: ეს ანსამბლი ნამდვილად



გაგრძელება 2 გვ. ▶

ქართული სახელმწიფო ქორეოგრაფიის „იმედის“ ვარსკვლავი

ინფორმაცია

„ოქროს სკიპი“ IX ჩესკო-სლოვაკური ფესტივალი

◀ დასაწყისი 1 მკ.

ღირსია იმისა, რომ მიენიჭოს სახელმწიფო ანსამბლის სტატუსი. აქ პროფესიონალები იზრდებიან. არა, ყველა პროფესიონალი მოცეკვავე ვერ გახდება, მაგრამ აქ აღზრდილი ბავშვი მომავალში აუცილებლად იქნება ქვეყნის ქართველი და მამულიშვილი, სამშობლოს პატრიოტი, კარგი ქალი და კაცი. ყველას ვულოცავ დღევანდელ ზეიმს.

უჩა დვალისშვილი, ქორეოგრაფი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი:

დღეს ქართული ქორეოგრაფიის ზეიმი. ვარსკვლავებს გაუხსნეს ვარსკვლავი. „იმედი“ შესანიშნავი ანსამბლია, ეს ბავშვები უკვე ჩამოყალიბებული პროფესიონალები არიან. 25 წლის წინათ ჩამოყალიბებული ანსამბლი აგრძელებს წინაპართა შესანიშნავ ტრადიციებს, უკვდავების ქართული ქორეოგრაფიის უბადლო, განუმეორებელ ნიმუშებს. დღევანდელი ზეიმი ყველა ბავშვს ეკუთვნის. ვულოცავ ბატონ ჯემალ რეხვიასშვილს, ქალბატონ ნუნუ ლეონიას, მათ ქვეყნისათვის დიდ ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს, პროფესორს:

ნელეები არიან ცნობილი ქორეოგრაფები ნუნუ ლეონია და ჯემალ რეხვიასშვილი.

ამ წლების განმავლობაში „იმედმა“ უამრავ ნარმატებას მიაღწია, თითქმის არ ყოფილა თბილისში თუ საქართველოს რომელიმე კუთხეში რაიმე ღირსშესანიშნავი ღონისძიება, „იმედს“ რომ არ მიეღოს მონაწილეობა.

ქართული საცეკვაო ფოლკლორით „იმედის“ წევრებმა მოიარეს მსოფლიოს მრავალი ქვეყანა და აღაფრთოვანეს უამრავი მაცურებელი.

1989 წელს ცნობილი ბალერინას – ეთერ ფალავას მიწვევით, ანსამბლმა ორთვიანი ტურნე გამართა საფრანგეთში; 1990 წელს იმოგზაურა მაროკოსა და ისრაელში. „იმედი“ სამჯერ გახდა წლის საუკეთესო კოლექტივი. ის ბავშვთა ხალხური შემოქმედების ოლიმპიადების ლიდერია. 1993-1994 წლებში მიიღო ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის პრიზი. 1992 წელი – სამთვიანი საგასტროლო ტურნე ინგლისში „სუხიშვილებთან“ ერთად. 1992 წელი – სირია, იორდანია, იტალია, შემდეგ გერმანია დოიჩე ბანკის მიწვევით. 1993 წელი – ჩინეთი. 1995 წელი – აშშ, ოთხთვიანი ნარმატებული ტურნე. ამ ნარმატებას წინ უძღვოდა ქ. ფოთში საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის მიერ გამართული ფესტივალი, სადაც „იმედმა“ I ადგილი მოიპოვა. 1996 წელს – ერთთვიანი ტურნე სინგაპურში.



„იმედი“ უამრავ საქველმოქმედო კონცერტს მართავს, აქედან გამოყოფილი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართულ კონცერტს ანსამბლ „დარიალთან“ ერთად (ხელმძღვანელი თ. ქეცხიშვილი), რომლის მთლიანი შემოსავალი გადაეცა ეკლესია-მონასტრებსა და კოჯრის ბავშვთა სახლს.

პროფკავშირების კულტურულ ცენტრში გამართული ოთხი კონცერტის მთლიანი შემოსავალი გადაირიცხა ელიას მთავრის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობის ფონდში და „რუსთავი-2“-ის გადაცემა „ვის უნდა 20.000 ათასი“ პატარა გიორგი ხვადაგიანის დახმარების ფონდში (საოპერაციოდ), ასევე დახმარება გაენი რამდენიმე მონასტერს. 2003 წელი – ანსამბლმა სამჯერ იმოგზაურა ანსამბლ „ერი-სიონთან“ ერთად საფრანგეთში ცნობილი შოუპროგრამით „ქართული ლეგენდა“. 2000 წელი – აშშ, ორთვიანი ტურნე.

„იმედი“ წლების განმავლობაში მონაწილეობდა პროექტში სახელწოდებით „ქართული ცეკვის ზეობა“, სადაც მონაწილეობდნენ აკადემიური ანსამბლები: „სუხიშვილები“, „ერისიონი“ და „რუსთავი“.

„იმედის“ ნარმატებულ ისტორიაში კიდევ ერთი ულამაზესი ფურცელი ჩაინერა – 2003 წელს ანსამბლ „იმედის“ ბაზაზე საპროდიუსერო კომპანია „იმედმა“ და „სანო სტუდია“ შექმნეს ქორეოგრაფიული სპექტაკლი „ცეკვა ზღაპარში“, რომლის იდეის ავტორები და პროდიუსერები გახლდათ ალექსანდრე ლორთქიფანიძე, მერაბ სანოძე და ავთანდილ ჩინრაძე. სპექტაკლის რეჟისორი ლევან ნულაძე, მხატვარი შოთა გლუფჯიძე და მუსიკალური პროდიუსერი ლევან ჩხარტიანი.

არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ ამ სპექტაკლით „იმედმა“ გადატრიალება მოახდინა ქართულ საბავშვო ქორეოგრაფიაში, რასაც მოწმობს არნახული ნარმატება თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე და ამავდროულად თითქმის ყველა უდიდესი პროფესიონალისა და ფოლკლორის სპეციალისტების უმადლო შეფასება.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ანსამბლმა ამ წლების განმავლობაში ათობით მოცეკვავე აღუზარდა ისეთ პროფესიონალურ კოლექტივებს, როგორებიც არიან „სუხიშვილები“, „ერისიონი“ და „რუსთავი“.

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირისა და საქართველოს ვეტერან ქორეოგრაფთა საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის ორგანიზებით სისტემატურად იმართება ფესტივალი „ოქროს ცერი“. ორგანიზატორებმა არც წელს უღალატეს ტრადიციას და ფესტივალზე მიიწვიეს საქართველოს მასშტაბით ნარჩინებული ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლები. ფესტივალს ამჯერად ბორჯომი და ბაკურიანი მასპინძლობდა. ბორჯომის კულტურის ცენტრში 2 თებერვლიდან 3 მარტის ჩათვლით მაცურებლის წინაშე წარსდგა ორ ათეულზე მეტი ანსამბლი. აქ გაიმართა ფესტივალის მეოთხე ტური. მომდევნო, მეხუთე ტური შედგება თბილისში. ზაფხულში კი გამოვლინდებიან ფესტივალის ლაურეატები. ფესტივალის დევიზი იყო: „გავეცნოთ სამშობლოს და ერთმანეთს შემოქმედებას“. ფესტივალის ამ ტურმა ნარმატებით ჩაიარა და ეს არის დამსახურება იმ ადამიანებისა, რომლებიც დღევანდელ ზრუნავენ ქართული ქორეოგრაფიის განვითარებაზე – კავშირის თავმჯდომარის მოადგილე და ფონდის პრეზიდენტი, ბატონი იური ტორაძე, ასევე კავშირისა და ფონდის თანამშრომლები, ქორეოგრაფები: კახაბერ

მარკოშვილი, ჯემალ ესიავა, ჯუმბერ ცუცქერიძე, გონა გრძელიშვილი, გონა ყველაიძე. მათ ყველა პირობა შეუქმნეს ანსამბლებს, მათ ხელმძღვანელებსა და წევრებს საკუთარი შემოქმედების ნარმატებით წარმოჩენისათვის და ასევე ლამაზად დასვენებისათვის. მაცურებლის წინაშე წარსდგნენ ანსამბლები: „მინდია“ (ხელმძღვანელი ა. ქართველიშვილი), „კოლხეთი“ (ი. ტორაძე), „მნათე“ (კ. მარკოშვილი), „მრავალძალი“ (გ. გრძელიშვილი), „კლდეკარი“ (ჯ. ცუცქერიძე), „აისი“ (ჯ. ესიავა), „კიდევაც დაიზრდებიან“ (გ. ყველაიძე), „ბასიანი“ (გ. ცერცვაძე), „ლაშქარი“ (კ. დაშინანი), „ზეკარი“ (კ. დუნდუა), „ზარზმა“ (ზ. გოგიშვილი), „ბირთვისი“ (გ. ბირთვილიშვილი), „ბერი“ (ზ. ჩიკვილაძე), „რუსთავი“ (კ. ცინცაძე), „ლაშქარი“ (ნ. გამბიტაშვილი), „კელაპტარი“ (ზ. ბათმანაშვილი), „ასას ფესტივები“ (ქ. ნარიაშვილი), „იმედი“ (ი. სილაგაძე), „იმედი“ (ა. იაგანაშვილი), „არმაზი“ (ა. ნერეთელი), „არმაზი“ (ზ. ბრეგვაძე), „კახათი“ (გ. ნარმანია), „ერთსულოვნება“ (ი. ჩიჭიაია). ანსამბლები დაჯილდოვდნენ დიპლომებითა და სიგელებით. ნარმატება ვუსურვოთ ბავშვთა ანსამბლებსა და მათ ხელმძღვანელებს ფესტივალის მომდევნო ტურში.

SOS!

აზერბაიჯანელები ქართულ ცეკვა „მთიულუს“ საკუთრად ასაღებენ

კომენტარი: არჩილ სოსხუელი

ვიდეოპორტალ youtube-ზე გავრცელებულ ვიდეორგოლში აზერბაიჯანის სახელმწიფო ანსამბლი მთიულურ ცეკვას ასრულებს და ამას „იგიღებენ“ ანუ მამაცთა ცეკვად ასაღებს.

ვიდეორგოლის კომენტარებში ქართველი მომხმარებლები აღფრთოვანდნენ პროტესტს გამოთქამენ და ცეკვის ქართულ ნარმომავლობას ამტკიცებენ. ვიდეორგოლი 5000-ზე მეტმა ადამიანმა ნახა. ერთ-ერთი ინტერნეტმომხმარებელი – დავითი – თავის კომენტარში წერს:...აქ პრობლემა ის კი არ არის, რომ ცეკვას „აზერბაიჯანულად“ ასაღებენ, არამედ პრობლემა ის ქართველი ქორეოგრაფია, ვინც ამამი დიდძალი ფული აიღო ნავთობით გამდიდრებული აზერბაიჯანელებისგან...

რუსები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ დაეკინებინათ ქართული სპორტი, კულტურა და ისტორია. უბრალოდ ქართველი ერის ნიჭიერი და ვერ მოახერხეს ჩვენი დაკნინება. მოისიყვანა შუა აზიის ხალხთა ცეკვებში შექმონდა ცეკვის ქართული ელემენტები. შემოიძლია დაგისახელოთ რამდენიმე მაგალითი: ყაზახური და თურქმენული ცეკვები თითქმის მთლიანად ქართულ ელემენტებზე დაფუძნებული. მუსულმანურ სამყაროში არ იყო მიღებული მუსულმანი მამაკაცის ცეკვა. არც ჩვენ ვიყავით მართლები, როცა ვქმნიდით ცეკვებს და ვარქმევდით სხვა ერის სახელებს, ლეკური დაერქვა იმიტომ, რომ როცა რუსებმა პირველად იხილეს ეს ცეკვა, მას ლეკი ასრულებდა, კი მაგრამ ჩვენ რატომ მივიღეთ ეს სახელი? ვცოდავდით, როცა ოსურ დავარქვით ცეკვას, რომელიც მთლიანად ქართულია და ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის დადგმულია. უკეთესი იქნებოდა, ქართული სახელები დაგვერქვა. ვცდებოდით, როცა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ცეკვებს ქართული ილეთებით ვაკელითობილებდით. ძალიან ბევრი ქართველი ცეკვის მასწავლებელი მუშაობდა და მოღვაწეობდა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში. ისე, ცნობისათვის, მოისიყვანა ცეკვის ანსამბლი ყველა ერის ცეკვას ასრულებდა, ცეკვაზე უკეთესადაც, ვიდრე ის ერები, რომლებსაც ეს ცეკვები ეკუთვნოდა, მხოლოდ ქართული ცეკვები ვერ იცეკვებ, უნდა იყო ქართველი, მხოლოდ ქართველს შეუძლია ეს.

რუსებმა ქართული ცეკვები „რუსული კულტურის ნაწილად“ გამოაცხადეს...

საფრანგეთის ქართული სათვისტომოს ნარმომადგენელი, ოთარ ზურაბიშვილი იუნესკო, რომ ქართველთა სათვისტომო შეძრულია გაზუთ „ფიგაროში“ მოისიყვანა ბალეტის შესახებ გამოქვეყნებული სტატიით: „პუბლიკაციაში, დასის რწმუნებული, ვლადიმირ ოზერიანსკი, „დიდი რუსის“ რიტორიკით, რუსეთს მიაკუთვნებს დამოუკიდებელი ქვეყნების, განსაკუთრებით კი საქართველოს, ცეკვებსა და ტრადიციებს; სსრკ-ის დამლის შემდეგ 20 წელი გავიდა და ეს რიტორიკა კვლავ გრძელდება. სიცრუეა იმის თქმა, თითქოს, „ეროვნებებმა, რომლებიც ყოფილ საბჭოთა კავშირში შედიოდნენ, დაკარგეს ტრადიცია“. საქართველოში (აგრეთვე, სომხეთში, უკრაინაში და ა. შ.) ათეულობით დასი სისტემატურად ახდენს ქართული ფოლკლორის განახლებას. ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია „ქართული ლეგენდა“, რომელიც ტრიუმფალურ გასტროლებს მართავს ევროპაში.

„ცეკვა ხორუმი სამხრეთ რუსეთის ცეკვა“ – აცხადებს ოზერიანსკი. ესეც მორიგი სიცრუეა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ხორუმი ერთ-ერთი უძველესი ქართული ცეკვაა და ეს სადავო არასოდეს ყოფილა.

და ბოლოს, როდესაც ვლადიმირ ოზერიანსკი ამტკიცებს, რომ „არაფერმა მოახდინა გავლენა მოსიყვანის ბალეტზე, არც სსრკ-ის დამლამ, არც ნაციონალიზმების პრობლემამ, რომელიც დროდადრო არეულობას იწვევს ქვეყანაში“, ამ სიტყვებით, ის, იმ რუსეთის ნარმომადგენლად გვევლინება, რომელიც საქართველოს მთლიანი ტერიტორიის მითვისებას ვერ ახერხებს, მაგრამ შენიღბულად, ცბიერი ხერხებით ცდილობს ქართული ფოლკლორის მითვისებას, ფოლკლორისა, რომელიც „დიდი რუსი ძმის“ გარეშე ვითარდება და ახერხებს საკუთარი მიღწევების ექსპორტირებას.

22.12.2011, <http://www.presa.ge>

რედაქციისათვის: არ მივაქცევდით ყურადღებას არც ამ ვიდეორგოლებს და არც რუსების უფვანო საქციელს, რომ არა ერთი გარემოება – ქართველი ქორეოგრაფები, და თანაც ყველაზე ცნობილი-გამოჩენილები, შეურაცხყოფას აყენებენ ასევე გამოჩენილ და ყველასათვის საყვარელ ქორეოგრაფებს, უკიჟინებენ, ჩემს მიერ დადგმული ცეკვა შეგიტანია შენი ანსამბლის რეპერტუარში, საავტორო უფლებების დაცვაზე აპულირებენ. როგორც დიდი წინაპარი იტყოდა, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს! ჩვენი მეზობელი ქვეყნების ქორეოგრაფები, ჩვენივე სპეციალისტების დახმარებითა და თანადგომით, ქართულ ხალხურ ცეკვებს, მის უნიკალურ ილეთებს ითვისებენ, საკუთრად ასაღებენ და ჩვენი ეს უცნობილესი და გამოჩენილი ქორეოგრაფები თევზებივით სდუმან, აქ კი სიცოცხლეს უნდაშლავენ საკუთარ კოლევებს გაუგებარი ბრალდებებით. ცნობილმა ხელოვნებათმცოდნემ, ბატონმა ოლეგ ალაიძემ გამოთქვა მოსაზრება და გააჟღერა სურვილი იმისა, რომ გაიმართოს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, სადაც სპეციალისტთა და დარგით დაინტერესებულ ადამიანთა ფართო წრეში იმსჯელებენ ამ სფეროში დაგროვილ პრობლემებზე, თუნდაც საავტორო უფლებებზე და იმაზეც, ვის მიერ და როდისაა შექმნილი ესა თუ ის ქართული ცეკვა. რედაქცია მხარს უჭერს ამ ინიციატივას და მოუწოდებს როგორც სახელისუფლებო ორგანოებს, ისე ბიზნესმენებს, ქორეოგრაფებს, დარგის სპეციალისტებს, ხელი შეუწყონ ამ თავყრილობის გამართვას.

ნებას გვაზიარეს დღეს და მთელი 25 წლის განმავლობაში. მივესალმები კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გადწყვეტილებას „იმედისათვის“ ვარსკვლავის გახსნის შესახებ. ეს ყველა საბავშვო ანსამბლის ვარსკვლავია. მოცეკვავე ბავშვთა ანსამბლი იზრდება და ყალიბდება პროფესიონალად და კარგია, რომ ამ კუთხით შეხედეს ქართულ ქორეოგრაფიას. „იმედი“ ამჯერადაც იმედია სხვათათვის. ყველას ვულოცავ ამ უდიდეს დღესასწაულს.

რომეო ტატიშვილი, ანსამბლ „ფერხუსლის“ ხელმძღვანელი:

დღევანდელი ღონისძიების შესახებ რას იტყვიოთ – მკითხეთ. არა, ეს არ იყო ღონისძიება, ეს იყო სრულიად ქართული ქორეოგრაფიის ზეიმი. ნარმოგდგენიათ, რა მოხდა?! ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს ვარსკვლავი გაუხსნეს! ვულოცავ ყველა ქორეოგრაფს, ყველა ბავშვს, ყველას, ვისთვისაც ესოდენ ძვირფასია ქართული ქორეოგრაფია.

ტარიელ გოგობერიშვილი, საქართველოს 2011 წლის ქორეოგრაფი:

დიდი საქმე გაკეთდა. რომ იტყვიან, ყინული გალღვა. ბავშვთა ქორეოგრაფია ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. აქამდე მხოლოდ სახელმწიფო ანსამბლებს ექცეოდა ყურადღება. ამჯერად კი ბავშვებს გაუხსნეს ვარსკვლავი. „იმედში“ თაობები გაიზარდა, აქ ვინც ცეკვავდა, დღეს სახელმწიფო ანსამბლებში მოღვაწეობენ. ეს ვარსკვლავი იმათიცაა. ვულოცავ ყველა ბავშვს, ყველა საბავშვო ქორეოგრაფიულ ანსამბლს. ეს ვარსკვლავი იმათიცაა. ვულოცავ ბატონ ჯემალ რეხვიასშვილს, ქალბატონ ნუნუ ლეონიას, მათი სახით ბავშვთა ქორეოგრაფიაში დაკავებულ ყველა ქორეოგრაფს.

ანსამბლი „იმედი“

ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი“ შეიქმნა 25 წლის წინათ, 1987 წელს, ქ. თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის ბაზაზე და მას შემდეგ მისი უცვლელი ხელმძღვა-

პოზიცია

მა სხვაგვარად პოზიცია...

ტელეკომპანია იმედის ტრადიციულ შოუში, რომელიც განსახილველი საკითხებისადმი ცელსიუსის შკალით 1000-ზე გაზრდილი აზრების გამოთქმას გულისხმობს, 2 მარტს ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნებასთან დაკავშირებული პრობლემები განიხილებოდა.

გადაცემაში ბევრი რამ ითქვა და ყველაფერი ამჯერად ვერ შევხებით, თუმცა უმთავრესის შესახებ მაინც უნდა ვიმსჯელოთ. ქალბატონმა ნინო სუხიშვილმა ბრძანა: დღევანდელი ქართველი ქორეოგრაფები ჩვენს საძოვარზე ძოვენო. ეს ნიშნავს, რომ „საძოვარი“ მათ, ანუ სუხიშვილების სხვადასხვა თაობის მიერ დადგმულ ცეკვებზე, რომელსაც დანარჩენი ქორეოგრაფები „ძოვენ“ ანუ, უბრალოდ, იპარავენ და იმეორებენ მათ გავლილ გზას. მე, როგორც ერთ რიგით ქართველ ქორეოგრაფს, მგონია, საქმე სწორედ იქაა, რომ პირიქითაა, კერძოდ, ნამდვილ „საძოვარს“, თუ შეიძლება ასე ითქვას, დანარჩენი ქართველი ქორეოგრაფები ქმნიდნენ და ქმნიან, ხოლო ზემოაღნიშნული გამონათქვამების ავტორები, ძალიან მოხერხებულად „ძოვენ“ ყველაზე მსუყვე, ყველაზე კარგად აბიზინებულ, ქორეოგრაფებს. ყველაზე სამწუხარო კი ისაა, რომ ამას აკეთებენ საზოგადოებრივი უმადურობით და ყოველგვარი მადლიერების გრძობის გარეშე. ახლა მეორე და თავისი ცინიზმით უკიდურესად სამარცხვინო გამონათქვამის შესახებ: „ძალიან ყვეს, ქარავანი კი მაინც მიდიხარ“. ალბათ მართალია, რადგან ქარავანი მიდის და ამის გამო მადლობასაც არავის ეუბნებიან. ბოლოს კი იმ გამორჩენილი მოღვაწეების თაობაზე, რომელთაც გადაცემის ახალგაზრდა მონაწილეებმა თავისი ირონიული შენიშვნებით გასაოცარი შეურაცხყოფა მიაყენეს. ბატონები რევაზ

ჭოხონელიძე, ფრიდონ სულაბერიძე, ომარ მხეიძე, თენგიზ უთმენიძე, რეზო ჭანიშვილი... ამ პიროვნებებს მთელი საქართველო სახელებით იცნობს, რადგან განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით ქართული კულტურის, უპირველესად კი ქორეოგრაფიული ხელოვნების წინაშე.

ნინო სუხიშვილმა თითქოსდა სრულიად ვერ გაიხსენა ბატონი რეზო ჭანიშვილი. ეგაო, მგონი სადაც ცეკვის მასწავლებლად მუშაობსო. საკვირველია, როდის გახდა მასწავლებლობა სამარცხვინო ან კიდევ ნაკლებპრესტიჟული საქმე.

მინდა, ზემოაღნიშნული სიტყვების ავტორს შევასენო, რომ ბატონი რეზო უამრავი შესანიშნავი ნიგნის ავტორია, იგი სამართლიანად და ღირსეულად ატარებს პროფესორის სამეცნიერო წოდებას. რეზო ჭანიშვილმა არაერთი გამორჩენილი მოცეკვავე აღზარდა. ამ „ცეკვის მასწავლებელმა“ 1980 წელს ბატონ ჯემალ ჭკუასელთან ერთად შექმნა ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, სადაც იგი მოღვაწეობდა მთავარი ქორეოგრაფის რანგში. ბატონი რეზო საგანგებო მივლინებით იყო გაგზავნილი სირიაში, ქ. დამასკოში, როგორც კონსულტანტი და როგორც ერთ-ერთი ხელმძღვანელი სირიის სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლისა. ამჟამად იგი ხელმძღვანელობს საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირს. მთავარი კი ის არის, რომ ამ პოსტზე ბატონი რეზო სრულიად საქართველოს ქორეოგრაფებმა ავირჩიეთ, თანაც ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ქართული ხალხური საცეკვაო ხელოვნების შესახებ იმგვარად მსჯელობა, როგორც ეს სატელევიზიო შოუში იყო წარმოდგენილი, არავისათვის სასარგებლო არ არის და მას მხოლოდ დიდი ზიანის მოტანა შეუძლია.

თეიმურ ჩხაიძე,
ცეკვის მასწავლებელი,
საქართველოს
დამსახურებული არტისტი

პირისპირ

ანსამბლ „სახიფთოდასა“ და „ჩხსთავს“ შორის დავა დასრულებულია

„სუხიშვილებისა“ და „რუსთავის“ ანსამბლებს შორის ცეკვა ფუთასთან დაკავშირებით, საავტორო უფლებათა დაცვის ასოციაციის ხელმძღვანელმა, გიგაკობლაძემ, დღეს პრესკონფერენცია გამართა.

ორ ანსამბლს შორის მიმდინარე დავა სპეციალური კომისიის მიერ იქნა მოგვარებული. კომისია შეიქმნა 5-კაციანი შემადგენლობით, რომელშიც შედიოდნენ ქორეოგრაფები რეზო ჭანიშვილი, ნუნუკა შათირიძე, ალექსო ქართველიძე, კოსტუმების მხატვარი ანა კალატოზიშვილი და ფოლკლორისტი ნანა ვალიშვილი.

„დადგინდა, რომ „სუხიშვილების“ ჯუთას“ და რუსთავის „მთიულურს“ შორის ქორეოგრაფიის ნაწილი მსგავსება არ არსებობს. რაც შეეხება კოსტუმებს, რუსთავის მიერ მითითებისთვის შექმნილია დაახლოებით 1982 წელს და მსგავსება სუხიშვილებთან არ არის. ერთადერთი დარღვევა იყო დუბაბი გამართულ კონცერტზე, რუსთავის მიერ ფაფახების

გამოყენება. როგორც ბატონი ფრიდონ სულაბერიძე განმარტავს, მოცეკვავეებს ეს ხელღვანელობასთან შეთანხმებული არ ჰქონიათ“, – განაცხადა გიგაკობლაძემ.

მსგავსება არ დაფიქსირდა მუსიკაშიც. ერთადერთი ამ შემთხვევაშიც ისაა, რომ მუსიკის ქუდი, დაახლოებით 5-6 წამი აღებულია „სუხიშვილების“ ჯუთასგან.

ავტორთა საზოგადოების გადწყვეტილებით, ანსამბლ „რუსთავს“ მიეცა გაფრთხილება, რომელსაც ხელმძღვანელობა გაითვალისწინებს.

ცნობისთვის, „სუხიშვილებმა“ ავტორთა საზოგადოებას დაახლოებით ერთი თვის წინ მიმართეს. ისინი აცხადებდნენ, რომ „რუსთავმა“ მათი ცეკვის ილეთები საკუთარ ცეკვაში გამოიყენა და საავტორო უფლებების დაცვას მოითხოვდნენ, გამომდინარე იქიდან, რომ ჯუთა შექმნილია ილიკო სუხიშვილის მიერ.

<http://primetimenews.ge>
02.03.2012

აქთანდოლ ლომთაძე – 70

ცნობილი ქართველი ქორეოგრაფი ავთანდილ ლომთაძე 70 წლისაა. ამ ღირსახსოვარ თარიღს ულოცავს ამაგდარ ქორეოგრაფს, პედაგოგსა და მომავალი თაობების აღმზრდელს საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი, მისი ყველა აღზრდილი. ჯანმრთელობა და სიხარული ნუ მოკლებოდეს ბატონ ავთანდილს ქართული ქორეოგრაფიის სადიდებლად.



ცეკვის ანსამბლი, რომელთა რეპერტუარები შედგებოდა ორგანოფონიური საკონცერტო პროგრამებისგან. ამ კოლექტივებიდან აღსანიშნავია ქუთაისის ადგილმრეწველობის ქორეოგრაფიული ანსამბლი და ვოკალური ჯგუფი, რომლებიც, როგორც საქართველოში, ასევე

ავთანდილ ლომთაძე დაიბადა 1942 წლის 15 თებერვალს. არის უმაღლესი განათლებით. მან ქორეოგრაფიული მოღვაწეობა დაიწყო 1960 წელს ქუთაისის 22-ე საშუალო სკოლაში. პარალელურად ცეკვადა და რეპეტიტორობდა ქუთაისის ადგილობრივი მრეწველობის კულტურის სახლთან არსებულ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში. წარმატებული მუშაობის გამო იგი მიიწვიეს ქუთაისის მეორე საშუალო სკოლაში, სადაც 16 წელი იმუშავა. ასე გრძელდებოდა მისი მოღვაწეობა შეუწყვეტლად სხვადასხვა ქორეოგრაფიულ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მას შექმნილი აქვს შვიდი სიმღერისა და

საზღვარგარეთ ატარებდნენ კონცერტულ კონცერტებს. ავთანდილ ლომთაძეს მიღებული აქვს როგორც საქართველოს, ასევე საკავშირო და საერთაშორისო ფესტივალების ოქროს მედლები და მინიჭებული აქვს ლაურეატის წოდებები. დაჯილდოებულია სპეციალური ოქროს მედლით ბავშვთა და სიუჟეტური ცეკვების შექმნისათვის. ესენია ცეკვები: „პატარა მეზღვარები“, „სასკოლო ვალსი“, „ტყის ზღაპარი“, „ძეგლები ცოცხლებიდან“ და სხვა. მასვე ეკუთვნის საავტორო სამეჯლისო ცეკვა საკუთარი მუსიკით – „სადარბაზო“. მის რეპერტუარში ქართული ხალხური ცეკვების გარდა შედიოდა მსოფლიოს ხალხთა ცეკვები,

ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში მოღვაწეობის პერიოდში ჰყავდა როგორც ხალხური ცეკვების, ასევე მსოფლიო ხალხთა ცეკვების და სამეჯლისო ცეკვების ანსამბლები. ბატონმა ავთანდილმა ასობით ახალგაზრდა აღზარდა – როგორც შემსრულებლები, ქორეოგრაფები, რომლებიც წარმატებულად მუშაობენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში. მისი აღმზრდელი პედაგოგები იყვნენ ცნობილი ქორეოგრაფები ელგუჯა გუმბერიძე, პავლე ბასილაძე. მას ახალგაზრდობის პერიოდში ორჯერ აქვს კვალიფიკაციის კურსები გავლილი საქართველოს ისეთ ბუმბერაზ ქორეოგრაფებთან, როგორებიც იყვნენ ილიკო სუხიშვილი, ჯანო ბაგრატიონი, ანტონ ჩხილაძე, რომან ჭოხონელიძე, ლილი გვარამაძე, მიხეილ შუბაშიძე, დავით ჯავრიშვილი, ავთანდილ თათარაძე, გვიო დიკაძე. სამეჯლისო ცეკვებში კი მისი პედაგოგები იყვნენ ესტონელი ცოლ-ქმარი ანც და მაილ ტაულები. ის დაჯილდოებულია საქართველოს უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით.

ავთანდილ ლომთაძეს ჭეშმარიტად დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული ქორეოგრაფიის განვითარების საქმეში.

ასაკის მიუხედავად, დღესაც, იგი აქტიურად მოღვაწეობს ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების სფეროში – არის საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის იმერეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე.

მილოცვა

ჟურნალისტი და მოსაქვავი

ბატონი დავით წულუკიძე, როგორც მისი კოლეგები (ისინი ჟურნალისტებიც არიან და ქორეოგრაფებიც) ხუმრობენ, ყველაზე ძლიერი ქორეოგრაფია ჟურნალისტებს შორის და ყველაზე ძლიერი ჟურნალისტი ქორეოგრაფებს შორის! ხუმრობა ხუმრობად, ბატონი დავითი კი ცნობილი და გამორჩეულია ქორეოგრაფებშიც და ჟურნალისტებშიც. ახლახან ბატონ დავითს 63 წელი შეუსრულდა. თარიღი საიუბილეო არ გახლავთ, მაგრამ საჭიროდ ვცანი, მკითხველს უფრო ახლოს გავაცნოთ მისი საყვარელი გაზეთის — „როკვას“ — ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი რედაქტორი, ჟურნალისტი და ქორეოგრაფი დავით წულუკიძე.

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი, მისი ყველა წევრი, ულოცავს ბატონ დავითს დაბადების დღეს და უსურვებს ჯანმრთელობას, უღვევ სიხარულს და გამარჯვებას საქართველოს სადიდებლად.

დავით წულუკიძე დაიბადა 1949 წლის 12 თებერვალს, თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ასურეთში. 1968 წლიდან იწყებს აქტიურ საცეკვაო მოღვაწეობას, ჯერ თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს ანსამბლ „სინათლე“-ში, შემდეგ კი საქართველოს პროფკავშირების ანსამბლ „თბილისში“.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი.

დიდი მისი ღვაწლი ქართული საცეკვაო ხელოვნების პოპულარიზაციასა და განვითარებაში. ოცი წლის განმავლობაში, როდესაც ის საქართველოს I არხის ხალხური შემოქმედების მთავარი რედაქციის უფროსი რედაქტორი გახლდათ, 400-მდე გადაცემა მოამზადა ქართულ ცეკვასა და ქორეოგრაფიაში მოღვაწე ადამიანებზე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან პირველმა გაუღო კარი საბავშვო ქორეოგრაფიის სატელევიზიო ეთერში, 200-ზე

მეტი ანსამბლი გააცნო ტელემაყურებელს და გზა დაულოცა მომავალ თაობებს დიდი ხელოვნებისაკენ. იმ წლებში პოპულარობით სარგებლობდა მისი საავტორო გადაცემები: „ქორეოგრაფიული მოზაიკა“, „ყველაფერი ქორეოგრაფიაზე“, „ქართული ქორეოგრაფიის პრობლემები“, სუხიშვილების ანსამბლისადმი მიძღვნილი გადაცემათა ციკლი — „სუხიშვილები-55“. თეატრალური გადამცემები: „ბალეტი ჯიმის, ქართული ჯიმის“, „ქართული გენია როკით განფენილი“, საახალწლო გადაცემები. საინტერესო იყო მის მიერ მომზადებული გადაცემები (20 გადაცემა) საზღვარგარეთ გამართული ფოლკლორული ფესტივალებიდან, რომლის ავტორი, რეჟისორი და ოპერატორი თავად გახლდათ.

თავისი წვლილი შეიტანა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ მომზადებული დისკის — „ქართული ცეკვის საარქივო მასალები“ — გა-

მოცემაში. აღნიშნული დისკისათვის საარქივო მასალები სწორედ დავით წულუკიძემ მოიძია და მოამზადა გამოსაცემად.

დავით წულუკიძემ აქტიური მონაწილეობა მიიღო ისეთი ქორეოგრაფიული ფესტივალების დაფუძნებაში, როგორიცაა — „ოქროსი ფარი“ და „ოქროსი ცერი“. წარმატებით ხელმძღვანელობს სატელევიზიო ფესტივალს — „მომავლის ვარსკვლავები“. გამოსაცემად ამზადებს ნიგნებს — „ქართული ქორეოგრაფიის მოღვაწენი“ და „მოცეკვავენი ხუმრობენ“.

ბატონმა დავითმა დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის შექმნაში. დღიდან კავშირის დაარსების დავით წულუკიძე არის კავშირის საინფორმაციო-სარედაქციო სამსახურის უფროსი და გაზეთ „როკვას“ მთავარი რედაქტორი. ამჟამადაც აქტიურად თანამშრომლობს კავშირთან და არის სამცხე ჯავახეთის რეგიონალური ორგანიზაციის კურატორი. ბატონი დავითი საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობის გადწყვეტილებით წარდგენილია „ღირსების ორდენზე“.

გაზეთ „საქართველოს ქორეოგრაფიის“ რედაქცია უერთდება საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის ყველა წევრის სურვილებს და წარმატებებს უსურვებს ბატონ დავითს.

რეპერტი

ქართული სასაქვარო ხელოვნების განვითარების უახლესი საკითხები

ქართველი ხალხის მიერ საუკუნეების მანძილზე შექმნილი ქორეოგრაფიული ხელოვნება ჩვენი ეროვნული სიმდიდრე და სიამაყეა. მას რუდუნებით მოვლა-შენახვა, შესწავლა და გამრავალფეროვნება-განვითარება ესაჭიროება.

ცეკვა ქართველი კაცისთვის მარტო შექცევა-ლაღობა არ არის. იგი ერის ხასიათის ერთ-ერთი საფუძველთაგანია, მისი ჩამოყალიბების მძლავრი ფაქტორია, ამავდროულად, სამხედრო-ფიზიკური სამზადისის პროცესიცაა, ფიზიკური კულტურის ნაწილია, ესთეტიზმის უშრეტო წყარო და ცხოვრების წესის კერძო გამოვლინებაცაა.

დრომ და განვლილმა წლებმა ნათლად წარმოაჩინეს, რომ წინაპრების მიერ დატოვებული ამ სიმდიდრის გადარჩენა-განვითარების ერთ-ერთი საუკეთესო გზა არის აქტიურ სასცენო-სამემსრულებლო საქმიანობაში მისი ჩართვა და სასწავლო-აღმზრდელობით სფეროში ხელოვნების ამ დარგის ფართოდ გამოყენება.

რაც უფრო მეტი მოზარდი დაეუფლება ქართული ცეკვის უფაქიზეს სამყაროს, მით მეტად გაფართოვდება მისი, როგორც ხელოვნების დარგის, ასპარეზი და არეალი.

მეცნიერული აზრის განვითარების სადღეისო დონეზე საკამათოდ აღარ ითვლება, რომ საფუძველი ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნებას ჯერ კიდევ წარმართულ ხანაში, თრიალეთის, მტკვარ-არაქსის თუ კოლხურ კულტურაში აქვს გადგმული. ამ აზრით იგი 30-35-საუკუნოვან მთლიანობას მაინც წარმოადგენს. ეს მოსაზრება, ბუნებრივად, ცალსახად არ უნდა გავიგოთ, რადგან დღევანდელი გადასახედიდან აღნიშნულ მთლიანობაში განვითარებადი პროცესისათვის დამახასიათებელი უწყვეტობის მყარი ელემენტების ფიქსირება ძნელია, თუმცა ფაქტია, რომ ეროვნული ქორეოკულტურის უძველესი პლასტები სწორედ ქრისტიანობამდე ხანაშია დალაგებულ-ჩამოქმნილი, მერე კი მომდევნო ეპოქების ფილტრშია გატარებული და ასეა ჩვენამდე მოსული.

ფაქტია ისიც, რომ XX საუკუნის მეორე ნახევარამდე ქართული საცეკვაო ხელოვნება მხოლოდ ხალხის ნიაღში ცოცხლობდა და ვითარდებოდა. მართალია, უკვე 30-იანი წლებისათვის თანდათანობით გამოიკვეთა ხალხურ ცეკვაზე საზოგადოებრივი ზრუნვის ცალკეული ელემენტები, თუმცა განსაკუთრებულად მასშტაბური სახე აღნიშნულმა პროცესმა გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან მიიღო, როდესაც ჩვენში აქტიურად დაიწყო აკადემიური, სამოყვარულო და საბავშვო ქორეოგრაფიული ანსამბლების ჩამოყალიბება, ტრადიციული სახე მიიღო ოლიმპიადების, ფესტივალების, კონკურსების ორგანიზებამ და საგასტროლო მოგზაურობებმა.

დღევანდელი გადასახედიდან აშკარად ჩანს, რომ ქართულმა ქორეოგრაფიულმა ხელოვნებამ გასულ, XX საუკუნეში, არსებითად, დაამთავრა თავისი არსებობა-ფუნქციონირების ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი, რომელსაც პირობითად შემორჩენილი სიმდიდრის თავმოყრის, მისი აღნუსხვა-დაგროვების, სისტემატიზების და, რაც მთავარია, ხალხური ქორეოგრაფიული კულტურის კლასიკურ სასცენო სრულყოფილებისკენ დამაჯერებელი ნასვლის ეტაპი შეიძლება ეწოდოს. დღეისათვის თამამად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ ეტაპზე გაკეთდა მაქსიმუმი იმისა, რისი გაკეთებაც იყო შესაძლებელი. ამ მხრივ, უპირველესად ის ფაქტი უნდა აღინიშნოს, რომ ქართული საცეკვაო ხელოვნება მაქსიმალურად განიცდო და დაინერგა საზოგადოების ყველა ფენაში, მოხდა მისი პოპულარიზაცია, მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ და ხალხმა გაიცნო „ქართული გენია როკით განფენილი“, რამაც, საბოლოო ჯამში, აამაღლა ჩვენი კულტურის ავტორიტეტი, ქვეყანას შესძინა მეგობრები და,

როგორც მოსალოდნელი იყო, მოუმრავლა მომხრე-ქვეყნმაცხედვარნიც პლაგიატორებისა თუ მიმბაძველების სახით.

აღნიშნული საერთო პროცესი, რაზედაც აქ ჩვენ საუბარი გვაქვს, გრძელდება დღესაც და თანაც მალალი ინტენსივობით. საქმე ისაა, რომ გლობალიზაციის მასშტაბების ზრდის კვალობაზე, რასაც თანახლავს მალალი საინფორმაციო ურთიერთშელეგნება და კულტურის კომერციალიზაციისკენ დაუოკებელი სწრაფვა, ეროვნული ქორეოგრაფიული მემკვიდრეობის მოვლა-შენახვა სულ უფრო ჭირს. უფრო მეტიც, უკვე საეჭვო ხდება მისი ავტონომიურობის დაცვა და რთულდება მიკუთვნებულობის კრიტერიუმების შესახებ კამათი. ჯერ კიდევ 5-6 ათეული წლის წინ არცერთ ჩვენს მეზობელს თუ მათ ცალკეულ წარმომადგენელს აზრადაც კი არ მოუვიდოდა, ემტიციენინა, პოპულარული ქართული ანსამბლების მიერ შესრულებული უაღრესად დახვეწილი ფერხულები თუ საბრძოლო ცეკვები სწორედ მათი წინაპრების მიერ იყო შექმნილი. დღეს კი ეს ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ქართული ცეკვის ნახაზებისა თუ ილეთების მისაკუთრებას ცდილობს ყველა, ვისაც კი სცენაზე გამოსვლა არ ეზარება. თვით ტრადიციულ მუსლიმანურ კულტურებშიც კი აღარ დაიგდებენ იმას, რომ ისლამური თვალსაზრისით წარმოუდგენელ-გაუგონარია მოცეკვავეთა, მათ შორის, ქალის იმგვარი ჩაცმულობითა და ფუნქციით სცენაზე წარმოჩენა, როგორცაა დღეს ხდება. აღარაფერს ვამბობთ იმ ყაიდის სასცენო კომპოზიციებზე, ცეკვის კვალითი ნახაზებისა და მათი შინაარსობრივი გადაწყვეტის საკითხებზე, რომელიც ასევე სრულიად არატრადიციულია ამ ქვეყნების ქორეოგრაფიული კულტურებისათვის. თუმცა, დღეს ეს, როგორც იტყვიან, აღარავის ადარდებს. კაცმა რომ თქვას, ამგვარი რეალობის დადგომა მოსალოდნელი იყო და მის პროგნოზირებას დიდი გამჭრიახობა არც ესაჭიროებოდა. განა ჩვენი, დიდად პატივსაცემი ქორეოგრაფები არ ჩადიოდნენ მეზობელ რეგიონებში, განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიაში, სამშობლო და ქართული ცეკვის ილეთების თუ ილეთთა ნაკრების გასავრცობად და ცეკვების დასადგმელად? აი, სწორედ მათი მამინდელი ნამუშევრის გამგრძელებელია ადგილებზე მათ მიერვე გაზრდილი და დღეს აქტიურად მოღვაწე ქორეოგრაფები. ეს პროცესი კიდევ უფრო მეტი ინტენსივობით გრძელდება მიმდინარე ეტაპზე. თურქეთის რესპუბლიკაში, შუა აზიის სახელმწიფოებში, ყველგან, სადაც კი საზღვრის გადაკვეთის პრობლემა გაიოლებულია, დასტა-დასტად საქმიანობენ ჩვენში აღზრდილ-გაზრდილი მოცეკვავეები და ქორეოგრაფები. რას უნდა ველოდეთ და რა უნდა ვიფიქროთ, განა ამას სათანადო შედეგი არ მოჰყვება? უსათუოდ მოჰყვება და უკვე მოჰყვა კიდევაც. ამის საუკეთესო დასტურია ინტერნეტსივრცე, რომლის ცალკეულ საიტზე გაბნეულ საცეკვაო მრავალფეროვნებაში და მის წარმომავლობაში მაღე თვით მალალი კლასის სპეციალისტებიც კი ვეღარ გაერკვევიან. მთელი სიმწვავე პრობლემისა კი იმაშია, რომ აღნიშნული პროცესის შეკავება სადღეისოდ უკვე შეუძლებელია. აკრძალვები და შეგონებები აღარ მუშაობს, აღარც პატრიოტულ შეუკითხავად აქვს დიდი გასაუგალი. არ მინდა მკითხველმა ჩემი ნათქვამი ისე გაიგოს, თითქოსდა კონკრეტულ მოღვაწეებს, ან კიდევ რიგით, სარჩო-საბადებლის საშოვნელად გზა-შარას გართხმულ ადამიანებს ვაბრალებდე ჩვენი ეროვნული სიმდიდრის განიავებას. თავის დროზე, როდესაც ჩვენი საუკეთესო ქორეოგრაფები სახელმწიფოებრივი მივლინებით ჩადიოდნენ ე.წ. „მოძმე რესპუბლიკებში“ და იქ ცეკვებს დგამდნენ, ეს იყო ქვეყნის იდეოლოგიური ცხოვრების ერთი კერძო ასპექტი, შორს

გამიზნული ეშმაკობა, რომელიც „მონინა-ვე გამოცდილების გაზიარების“ ლოზუნგით ხორციელდებოდა. მერე და მერე ეს პროცესი თვითგადარჩენის ინსტინქტებს, „საშოვარისა და შოვნის“ მოტივაციას მიეხება. საინტერესო კი ისაა, რომ როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში იგი შესანიშნავად ჩაენერა ქართული ხასიათის ერთ თავისებურებაში, რომელსაც ბედოვლათობა და უყიარათობა ჰქვია.

ისტორიული გამოცდილება ადასტურებს – უფლის ნებით, საკუთარი შრომით, გეოგრაფიული თუ სოციალური გარემოებების გავლენით ჩვენს შორეულ წინაპრებს, მერე კი მათ შთანთქმვლებს ხასიათის ბევრი ისეთი თვისება გამოუმუშავდათ, რომლის წყალობითაც ქართველი ბევრ რამეს ქმნის, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი შენახვა-მოვლა აღარ გამოსდის, უბრალოდ, ვეღარ ახერხებს. ჩვენი ეროვნული ხასიათისა და მენტალობის კარგი მცოდნე, სახელოვანი მკვლევარი ვახუშტი ბატონიშვილი წერდა, ქართველი ყოველთვის იყვნენ „ჭირთა მომთმენნი, ცხენსა ზედა და მხედრობათა შინა კადნიერნი, მკვირცხლნი, მსწრაფლნი... სტუმართა და უცხოთ მოყუარენი, მხიარულნი, უკეთუ ორნი ან სამნი არიან არაა შეიჭირვონ: უხუნი, არცა თვისსა და არცა სხვისას კრძალვენ, საუწყებთა არა მმეცხელნი, გონიერნი, მსწრაფლ-მიმდობნი...“. გულუხვიანო თავისი ბუნებით ქართველი, ბრძანებს დიდი მეცნიერი, თავისას არას უფრთხილდებო და არც საუნჯის მოვლა ეხერხებო მაინცდა- მაინც.

ქართული ხასიათის ამგვარ მფლანგველურ და ერთგვარად ზერეულ ბუნებაზე ამახვილებდა ყურადღებას დიდი ილია ჭავჭავაძეც. თავის ცნობილ „ქვათა ღალადში“ შესადარებლად მას ორი სომხური ანდაზა მოჰყავს: „რად ჰკითხულობ, ვისი გამოცხადებია ეს პური? გინდ ურიისა იყოს, თუ გემრიელია, სჭამე“ და მეორე – „სადაც პური წნახო, იქ დაბინავდო“. ამის საპირისპიროდ ილიას იქვე მოჰყავს ქართული ანდაზები: „რასაცა გასცემ, შენია, რაც არა – დაკარგულია“ და „უხვად გასცემდი, ზღვასაცა შენისა და გაედიხები“. პირველი ორი, ილიას აზრით, პრაგმატულობის და შორსგამიზნული მოქმედების გამოხატველია, დანარჩენი ორი კი ბედოვლათობის და უყიარათობის. თუმცა, ისევე ილიასი არ იყოს: „...ღმერთმა იცის, კაცური კაცისთვის რა უფრო სანატრელია, სხვისი პურის ჭამა, თუ თვისისა ცაცება. ვინ იცის, ზნეობა უფრო მაგარი ქვითკირია კაცთა ცხოვრებისათვის, თუ საცა ვისი რამ მოიხელთო, სჭამე, რაკი გემრიელია“.

გურამ ასათიანის თქმით, ეროვნული მენტალიტეტი ისეთი რამ არის, რომელსაც ერთხელ და სამუდამოდ, დროში გაყინული მოცემულობა არ აქვს. იგი ვითარდება და იცვლება, რალაც აკლდება, თუმცა მასში რალაც აუცილებლად იბადება კიდევაც. პატივცემული ავტორის აზრით: „...საფიქრებელია, რომ თვით ჩვენი ხასიათი განსაკუთრებით გამძლე რალაც ურევია შიგ, სამარადეაფაოდ, დღღაბის მსგავსი...“ (გ. ასათიანი, „სათავეებთან“, 1982, გვ. 135).

როგორც ჩანს, გაცემა-გაჩუქების ინსტიქტი სწორედ ერთი ასეთთაგანია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების დონეზე მაგანი შენს დაუკუთხავადაც კარგად მოახერხებს ცალკეული საცეკვაო ნომრების გადაღებას და მერე მის გამეორებას, მაგრამ საკვირველი ის მონადინებაა, რომელსაც თვითონ ჩვენი სპეციალისტები იჩენენ ტექნოლოგიური მასალის, ხშირად სრულად უსასყიდლოდ და არამკითხვად, გასხვივების პროცესში. დიდი ხანი არაა, რაც ინტერნეტსივრცეში გაჩნდა სპეციალური საიტები, რომელთაც პირობითად „ცეკვის გაკვეთილები“ შეიძლება დაერქვას. საიტებზე დადებულა, მართალია, მცირე ხანგრძლივობის,

მაგრამ შინაარსით ტევადი მასალები, სადაც მშვენიერი გარეგნობის გოგობიჭები, ხშირად დიდი ანსამბლების ყოფილი სოლისტები, დანვრილები ხსნიან, კაცმა არ იცის, ვისთვის, ხელისა და ფეხის, ასევე ტანისა და სახის პოზიციებს სხვადასხვა ქართულ ცეკვებში. მიუთითებენ თვლებზე, ტემპო-რიტმზე და, საერთოდ, ყველაფერ იმაზე, რის ათვისების შემდეგაც ეს ცეკვა უკვე შენი სისხლბორცეულია და მნიშვნელობა აღარ აქვს, ქართველი ხარ თუ არა, კავკასიონის ქედს აქით გაიზარდე, ტრამალებში, გობის უდაბნოში თუ აფრიკის ჯუნგლებში. ისიც ხდება, რომ ამ გზით გადაღებული ცეკვის შესრულებისას ბევრს „რასა მართლაც არ ყოფნის“. მაგრამ დრო ცვალებადია, ტექნიკა წინ მიდის და ის, რაც სადღეისოდ არ ხერხდება, ხვალ უსათუოდ მიღწევადი გახდება. შეიძლება შემოგვედავონ და გვითხრან – აღნიშნული მასალა იქ ქართველი ქორეოგრაფებისთვისაა გათვალისწინებული, ვინც არასწორად ასწავლის და აკვალიანებს მომავალ მოცეკვავეებსო. სამწუხაროდ, ჩვენში ამის ბევრი მაგალითი არსებობს და მას მართლაც ესაჭიროება განსაკუთრებული ყურადღება, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ნორმალურ სიტუაციაში საამისოდ, სათანადო ორგანიზაციებს ტრენინგ-მეცადინეობების სპეციალური ღონისძიებები უნდა ჰქონდეთ მოფიქრებული და სწორედ ამ მიმართებით მუშაობის გააქტიურება სჯობს ინტერნეტსერვისის კარმოლებულ სივრცეში ყველა „საიდუმლოს“ გათქმას.

ვფიქრობ, ზემოაღნიშნული პრობლემის შესახებ საკმარისად თქვა და ამჯერად მეტი განვრცობა საჭირო აღარ არის.

ახლა საპირისპირო მოვლენებზეც უნდა ითქვას. საქმეში ჩახედული მკითხველი უთუოდ დაგვეთანხმება, რომ გავლენებს მარტო სხვები არ განიცდიან და ჩვენ თვითონაც არაერთხელ გავმზადვართ მისი მსხვერპლი. ამასთან, საზგასამით უნდა ითქვას, რომ ფოლკლორის სფეროში, მისი რომელი დარგიც არ უნდა ავიღოთ, იქნება ეს ცეკვა, სიმღერა, ლექსი თუ სხვა რამ, ჩვენდა საამაყოდ, სხვისგან გადმოსაღები არაფერი გვჭირს და, ამ მხრივ, შეგვიძლია, მშვიდად ვიყოთ. უფრო მეტიც, ის ცალკეული ინტონაციებიც კი, რომელიც ქალაქურ ფოლკლორში ჩნდებოდა დროდადრო, ან ქვეყნის განაპირა ოლქებს მოედებოდა, არც დიდ და სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა და ვერც იმ რანგობრივ ტაბელს არღვევდა, რომელიც ქართულ ფოლკლორულ ხელოვნებაში იყო საუკუნეების მანძილზე შემუშავებული და დამკვიდრებული მეზობელ კულტურებთან მიმართებაში. სამწუხაროდ, აღნიშნულ სფეროში გამოუმუშავებული ერთგვარი იმუნიტეტი საკმარისი არ აღმოჩნდა მოუკულტურისა და კირისაგან თავის დასაცავად. ამის გამო ცვლილებები დაეტყო ქართულ ხასიათსაც. იგი სულ უფრო მიდრეკილი ხდება ეპოქის მიერ მოტანილი სიახლეების გადამღერება-კოპირებისაკენ. ამ მხრივ, განსაკუთრებული ყურადღების საგანი ხდება მასობრივი კულტურის, მოუკულტურის ნიმუშები, მისთვის დამახასიათებელი, მაყურებლის აფიტირებასა და გონივრული საქციელისგან შორს მყოფი ღონისძიებები.

მართალია, აღნიშნული პროცესები სხვაგან, ჩვენგან საკმაოდ დაშორებულ ქვეყნებში გაცილებით ადრე დაიწყო, მაგრამ უკვე ნათელი ხდება, რომ დღეისათვის ქართული რეალობა საკმაოდ ინტენსიურად და წარმომადგენლობით ჩაება მასში.

განვლილი ათწლეულების გამოცდილება აჩვენებს, რომ მოუკულტურის, მასკულტურის, გნებათ, კონტრკულტურის მომწამვლელი სუნთქვა, სამწუხაროდ, ისეთი მასშტაბური და ძლიერი გამოდგა, რომ

რაკურსი

◀ **დასახეობა 4 მ.**

მან თითქმის ყველაფერი განსაკუთრებით კი „ბებერი ევროპის“ ქვეყნებში ლამის ამოძირკვა ფოლკლორი და ფოლკლორული ტრადიციები. სამწუხაროდ, ეს საფრთხეები გვერდს ვერც ჩვენ აგვივლის. მართალია, ჩვენი რეალობა ევროპელებისგან, ან კიდევ, ევრო-ამერიკული სივრცისაგან საკმაოდ განსხვავებულია, მაგრამ ეს დამშვიდების საფუძველს არ გვაძლევს. ვფიქრობთ, დადგა ეტაპი, როდესაც ქართულმა ქორეოგრაფიულმა კულტურამ თვითდადგინების ახალ სივრცეზე და ახალ ხარისხზე იფიქროს. აუცილებლად მოუწევს იმაზე ადგილი გარედან შემოსულ კულტურულ ღირებულებებთან მიმართებაში.

დღევანდელ რეალობაში ბევრ ნამყვან ქორეოგრაფსა თუ ქორეოლოგს ანუხებებს შემოაღწეული პრობლემები. არის გარკვეული ცდა იმისა, რომ მოხდეს ფოლკლორული მემკვიდრეობის ახლებურად გააზრება და ცვლად გარემო-პირობებთან მისი ადაპტირება. თავისთავად, ამგვარი ცდა დასაძრახისი და უკუსაგდები ნამდვილად არ არის, რადგან დღევანდელი ურბანისტული ყოფა, განსაკუთრებით სოფელი, მისი ცხოვრების წესი, უკვე ვეღარ წარმოშობს ფოლკლორულ მემკვიდრეობას და ვეღარც მის განვითარებას უწყობს ხელს. უფრო მეტიც, ფაქტია, რომ სოფელი დღეისათ-

ვის უკვე ქალაქს ბაძავს და იმ მიღწევების კოპირებას ახდენს, რომელიც დიდი ქალაქების მასშტაბებით მოქმედ ანსამბლებს გააჩნიათ. სწორედ ამიტომ წარმოიშვა რეალობა, როდესაც ფოლკლორულ მემკვიდრეობას წინ წასასვლელი, თითქოსდა, აღარ აქვს და მისი ავ-კარგი უკვე იმით იზომება, ვინ უკეთ, უფრო ზუსტად იმეორებს იმას, რაც უკვე იყო, რაც უკვე არის.

რადიკალური გარემოება, მართალია, ფოლკლორული მემკვიდრეობის შენახვის, მისი მოვლა-პატრონობის თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია და თავის საქმეს აკეთებს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. კულტურის ბუნება, საზოგადოდ, ისეთია, რომ იგი წრებრუნვას და მუდმივ ერთ ადგილზე დგომას ვერ ეგუება. სწორედ ამიტომ, რაკი ახალი ტიპის ფოლკლორის აღმოსაგენებლად სოციალური გარემო და პირობები აღარ არსებობს, იწყება ძველის გადაშენება, მისი ადაპტირება იმ მოთხოვნების შესაბამისად, რაც შოუკულტურისთვის არის დამახასიათებელი. ყველაზე გამოკვეთილად, ყველაზე თამამად ეს მიმართულება დღეისათვის ქართულმა ნაციონალურმა ბალეტმა აიღო. ერთის მხრივ, მათ თავიანთ პროგრამაში შეინარჩუნეს ის ტრადიციული ხელნერა, სტილი და ოსტატობის მაჩვენებლები, რაც ოდითგანვე მოსდგამდათ, თუმცა მის გვერდით შექმნეს ახალი პროგრამა, ახალი ტიპის ბრენდი, რომლის გაგება-მიღება მხოლოდ

მულტიკულტურული კონტექსტის და შოუკულტურის პარამეტრების გათვალისწინებით თუ შეიძლება. საგულისხმოა, რომ ანსამბლს მიმბაძველებიც გამოუჩნდნენ, მათ შორის, საბავშვო კოლექტივების დონეზეც. კარგია თუ არა, ასე რომ ხდება, ეს სხვა საუბრის თემაა, თუმცა რეალობა იმას კი კარგად აჩვენებს, რომ საზოგადოებაში, სპეციალისტთა შორის იგრძნობა აქამდე არარსებულსკენ შინაგანი ლტოლვა და განახლების ქვეცნობიერი ნადილი. ამ გზაზე ერთიანი კავკასიური ბრენდის შექმნისა და ევროპული დანსების დეტალებით მისი შევსების იდეა ერთი ვარიანტია, ერთ-ერთი შესაძლო ნაბიჯია, რომელიც, ალბათ, აუცილებლად უნდა გადადგმულიყო, თუმცა დრო და განვითარებადი მოვლენები სამომავლოდ აუცილებლად მოიტანს სხვა სიახლეებსაც. მთავარი ამ პროცესში ის არის, რომ სიახლეებისკენ სწრაფად ტრადიციული სიმღერები არ დაგვავარგინოს, კლასიკური სრულყოფილებამდე მისული საცეკვაო ნახაზები, მოძრაობები, ილეთები თუ ილეთთა ნაკრებები უფრო მდარე ანალოგებით არ შეგვაცვლევინოს.

კლასიკურ სრულყოფილებას ხელოვნებაში ერთი საოცარი თვისება აქვს – იგი მარად თანამედროვეა. ამიტომაც ვერ ელევა მას სხვადასხვა თაობის ადამიანთა ცნობიერება, მათი ესთეტიკური გემოვნება და სწრაფად ცვალებადი ეპოქების კულტურული კონტექსტი.

დასასრულს, კიდევ ერთხელ უნდა გავიმეორო ზემოთ უკვე ნათქვამი სიტყვები, რომ XXI საუკუნის პირველი ნახევრისათვის, უახლოეს ათწლეულში, ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნებისათვის ნომერ პირველი პრობლემა, გამოცდა, გამოწვევა თუ ამოცანა იქნება იმ სასიამალო ნიშნულების მოძიება, ვერტიკალური და ჰორიზონტალური სივრცეების მონიშვნა, რომელიც მისი ახლებურ რანგში თვითდადგინებისათვის არის საჭირო. ეს იოლი პროცესი არ არის და ვერც თავისთავად მოხდება. საჭიროა ქორეოგრაფთა ახალი თაობების გამოჩენა, სარეჟისორო აზროვნების ახალი ტიპის ჩამოყალიბება, ტრადიციისა და ნოვატორობის საკითხებზე განსხვავებული თვალსაზრისების ფორმირება.

მხოლოდ ასეთი კომპლექსური ღონისძიებებისა და შესატყვისი მუშაობის მეოხებით არის შესაძლებელი, ქართულ საცეკვაო ხელოვნებას შეუწარმუნდეს ტრადიციული დიდება და, ამავდროულად, მოხდეს მისი წინსვლა-განვითარება. თუ ეს ტენდენცია გაგრძელდა, უკვე აშკარა გახდება, რომ ქართული ხელოვნების საზღვარგარეთ გატანის პროცესის ერთი დიდი მონაკვეთი დასრულებულია და ახლა უკუპროცესით ნასაზრდოები, რაღაც ახალი რეალობის შექმნა იწყება.

ილია ალავიძე,
პროფესორი

ქორეოგრაფია არქეოლოგიაში

სამადლოს ქვური

სამადლო – ისტორიული სოფელი ქართლში, მცხეთის რაიონში, მტკვრის მარჯვენა ნაპირას, ბეშქენაშენის ხევის მარცხენა მხარეს, ბარეთის ტბის დასავლეთით, ელინისტური ხანის (ძვ. წ. IV-III სს.) ნაქალაქარი. პირველად მოხსენიებულია XVI ს. ისტორიულ წყაროებში. გამოთქმულია მოსაზრება, რომ სამადლო და მის პირდაპირ, მტკვარგაღმა, ნასტავისის ველზე

ვის მე-4 საუკუნეში იყო გავრცელებული. ამავე პერიოდში უზარმაზარ ქვევრებს ფლავიანე მინაში. ამის დასტურია სამადლოში ნაპოვნი ტონა-ნახევრიანი ქვევრი – ბრძოლის, ნადირობისა და ცეკვის ბატალურ-ექსპრესიული სცენებით, თაღარით – ჭურჭლით, რომელშიც ყურძნის წვენი გროვდებოდა. სამადლოს ჭურჭლიდან მეტად მნიშვნელოვანია კვერცხის ფორმის ფართოყელიანი, განიერმოჭულიანი, ვინრობიანი თიხის მოხატული ქვევრი: ღია ფერის მოყვითალო ფონზე, უმეტესად ნივთი ან მოყავისფრო წერნაქით მოხატული გეომეტრიული სახეებით (სარტყლური, სამკუთხედი და სხვა). ფრიზეზად განლაგებული მრავალფეროვანი კომპოზიციები (ბრძოლის, ნადირობის, ცეკვის სცენები და სხვა) და ძირითადად ამკობს ქვევრის ზედა ნაწილს. ჩვენთვის საინტერესოა ზედა ორი ფრიზი – ბრძოლა-ნადირობისა და ცეკვის სცენებით მოხატული მრავალფეროვანი კომპოზიცია.

პირველ ფრიზეზზე წარმოდგენილია ნადირობისა (ორი შუბიანი მხედარი მისდევს ვეტილ დაჭრილ ირმებს) და ბრძოლის (ორი შუბიანი მხედარი და ორი ქვეითი „ბუმბერაზი“, პატარა ფართი და ხმლით, ებრძვიან მხედრებს) სცენები. ორივე სცენაში მონადირეებსაც და მხედრებსაც წვეტიანი ჩაფხუტები – მუზარადები ახურავთ. ცხენის კუდები გაკვანძულია.

მეორე ფრიზეზზე გამოსახულია ხუთი ფრინველი და ათი ჩაფხუტიანი მამაკაცი. თვითიული სცენა დაყოფილია ფიგურებად, წყვილი სამკუთხედის მწვერვალების შეერთებით. სიცოცხლითა და მოძრაობით სავსე სილუეტებით იგრძნობა ოსტატის განაფული ხელი.

მეფერხულენი განლაგებულნი არიან ზურვით ცენტრისაკენ, მათ შორის მანძილი თანაბარია, მარცხენა ხელი წინ, მარჯვენა უკან. ხელები მტკვრებითაა შეერთებული. უკან, ანუ ბოლოში მდგომს, მარჯ-

ვენა ხელი წელზე – დონიზე აქვს შემოდებული. წინმდგომის მარცხენა ხელის მდგომარეობა, ქვევრის დაზიანების გამო, არ იკითხება, მაგრამ საერთო სურათით თუ ვიმსჯელებთ, ისიც დანარჩენის პოზაში უნდა იყოს. ფერხული მოძრაობს წრეზე, საცეკვაო ხაზის მიმართულებით (სათის ისრის მოძრაობის საწინააღმდეგოდ) გადადგმული აქვთ წინ მარცხენა ფეხით დიდი ნაბიჯი. სხეულის სიმძიმის ცენტრი გადატანილია მარცხენა ფეხზე. მოძრაობა ვერტიკალის მომენტში – დინამიკურ ფაზაშია დაფიქსირებული. მეფერხულეთა მოძრაობა სინქრონულია, მზერა მიმართულია წინ, საცეკვაო ხაზის გასწვრივ.

ქვევრზე ასახულ ფერხულის სცენაში მხოლოდ მამაკაცები მონაწილეობენ. სამი მეფერხულე მთლიანად, ხოლო მეოთხის მარჯვენა ფეხის ტერფი და მარცხენა ფეხი თითქმის მთლიანად ჩანს. ორივე ფეხი წინა მოცეკვავეების ფეხის მდგომარეობის ანალოგიურია. დანარჩენი მეფერხულენი, ქვევრის დაზიანების გამო, არ ჩანან. მეცნიერთა აზრით, ფერხულში ათი მამაკაცი მონაწილეობს. თუ ეს ვარაუდი მართებულია, მაშინ დაუზიანებელ მონაკვეთზე მე-10 მონაწილის მარცხენა ფეხი ნახევრად გამართულ მდგომარეობაში უნდა იყოს გამოსახული. ქვევრის დაზიანების გამო არ ჩანს მარჯვენა ფეხის მდგომარეობა და სხეულის სხვა ნაწილები. ჩვენი აზრით, ფერხულის მე-10 მონაწილეს იმავე მდგომარეობა-მოდრაობაში უნდა იყოს, როგორც დანარჩენები.

ქვევრზე ასახული საფერხული სცენის კომპოზიციის განხილვა საშუალებას გვაძლევს, დავადგინოთ ჩვენთვის საინტერესო ზოგიერთი დეტალი. ფორმის მხრივ ფერხული ერთნირი და ერთსართულიანი უნდა იყოს. ფერხულის სცენის სილუეტური გამოსახულებები და მასთან დაკავშირებული საცეკვაო ლექსიკა ზოგადქართულია და დამახასიათებელია ქართული საცეკვაო ხელოვნებისათვის, კერძოდ, ფერ-

ხულების მოძრაობა-მდგომარეობისათვის, რომლებიც დღესაც აქტიურად გამოიყენება ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში. მასში ძნელია კუთხურობის აღმნიშვნელი რომელიმე ნიშან-თვისების გამოკვეთა. ეს არ არის მარტო სამადლოს კუთხნილება, პარალელები იკითხება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მიუხედავად ტერიტორიული სიმორისა, ისტორიული მეთოდის – თვითჩასახვის თეორიის თანახმად, შესაძლოა მსგავსი სცენები დამოუკიდებლად იყოს სხვა ხალხთა საფერხულო ცეკვებშიც.

ქართველი მეცნიერის იულონ გაგომიძის აზრით, სამადლოს ქვევრზე გამოსახული ფერხული ნაყოფიერების კულტს უკავშირდება. საკმარისია გავისხენოთ ქართველი მთიანეთის საწესო ფერხული – „ფერხისაი“ ან „ქორბელა“, რომელიც სრულდებოდა ხატობას, ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიმართული მეტისმეტად არქაული სასიძლეო თანხლებით (ვერა ბარდაველიძე).

ჩვენი აზრით, სამადლოს ფერხულები სარიტუალო ფერხულებია და ნაყოფიერების ტრადიციულ კულტებთან, ნადირობისა და ლაშქრობის სადიდებელ სანახაობასთანა დაკავშირებული. ამგვარი მრავალფეროვანი კომპოზიციები მითოლოგიურ სიუჟეტზე უნდა მიუთითებდეს.

ქვევრზე ასახულ ხელებჩაკიდებულ მამაკაცთა ძირითადი მდგომარეობები, ექსპრესიული მოძრაობები, უდავოდ, ქართულია და, ვფიქრობთ, უძველეს საფერხულო ცეკვის არსებობას ადასტურებს.



არსებული სამოსახლო ელინისტურ ხანაში ერთიან ქალაქს შეადგენდა. ამასთან, სამადლო იყო ამ ქალაქის შიდა ციხე, შესაძლებელია აქვე არსებულიყო ძვ. წ. IV-III საუკუნეების ქართლის მეფეთა რეზიდენცია.

1966-75 წლებში მრავალფეროვანი არქეოლოგიური ძეგლის გათხრებს აწარმოებდა სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია იულონ გაგომიძის ხელმძღვანელობით. არქეოლოგიური მასალა სრულყოფილად ასახავს ძვ.წ. IV-II საუკუნეების ქართლის მოსახლეობის ნივთიერი და სულიერი კულტურის თითქმის ყველა მხარეს.

ისტორიული ელინისტური ხანის სამადლოს სამოსახლარის არქეოლოგიური მასალის შედეგად მტკიცდება, რომ ძვ. წ. IV-III საუკუნეებში საქართველოში არსებობდა მაღალგანვითარებული მხატვრული კერამიკის წარმოება. სამადლოს მასალებიდან მეტად მნიშვნელოვანია კერამიკა – უმთავრესად კი მოხატული (მოჭიქული): სხვადასხვა დანიშნულების, მრავალფეროვანი და მრავალფეროვანი თიხის ჭურჭელი – შედარებით უხეშად ნამზადი ქოთნები თუ ვირთუოზულად დამუშავებული სარიტუალო ჭურჭელი და ტექნიკურად უზადო თხელკედლიანი საღვინე ქვევრები.

ამგვარი სასმისები ძველი ნელთალრიცხ-



მაკაცთა ძირითადი მდგომარეობები, ექსპრესიული მოძრაობები, უდავოდ, ქართულია და, ვფიქრობთ, უძველეს საფერხულო ცეკვის არსებობას ადასტურებს.

ურა დვალისვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის
დოქტორი,
პროფესორი

ლევანდასთან მიდარებაში

ფრიდონ სულაბერიძე — ქართული ცეკვის შეუდარებელი მეჩუქერიძე!

გასაკვირი არაა, რომ დიდი აკაკი წერეთლის კაზმული ფრაზა ჩვენი წერილის ეპიგრაფად შევარჩიეთ. გამონათქვამში „მალლით მფრენი“... სახელოვანი, ღირსებით შემოქმედებული ადამიანები მოიხარებიან. ასეთები ხალხის გულში მკვიდრდებიან, ხალხია მათი ბოლოქარი სულის, ნიჭიერების უტყუარი მაცნე და დამფასებელი.

ზოგიერთი მათგანი ლევანდასთან მიდარებულადაც გვენიშნება. ამ ათი წლის წინათ თბილისის რკინიგზის სასახლის ვრცელმა აფიშამ, სატელევიზიო გადაცემებმა საზოგადოებას აუწყა ქართული ცეკვის ლევანდის ფრიდონ სულაბერიძის სამოცი წლის საიუბილეო საღამოს შესახებ. გაზეთში კი დაიბეჭდა ლექსი „ფრიდონ“, რომლის ერთი სტროფი ასე უღერს: „მხოლოდ გულში ჩასარჩენად, არა ტანისთვის — გიცეკვია, არც რამ წოდება გინატრია, არც რამ ტიტული გიძებნია, მენყერს ჩინიც და ეპოლეტიც, როცა კაცად კაცი ბითურია, ლევანდის მსგავსი გვარ-სახელი შენი ერთადერთი ტიტულია“.

უდავოდ, დიდა და უსაზღვრო ფრიდონ სულაბერიძის ცხოვრებისა და შემოქმედების, „ზეგარდმო ნიჭის“ ელვარება, დიდა და პატარას, ქართველს თუ სხვა ერის ადამიანებს რომ აჯადოვებს უხილავი ჩუქურთმებით, შემოაქვს მჩქეფარე სიხარული სცენაზე და სცენის მიღმა. სცენის იქით კი სიცოცხლით სავსე დარბაზია, საიდანაც ფრიდონისეულ კამკაშა ცეკვას აკომპანიმენტებით მიჰყვება ტაში და გამომხიბლი. ასეთი გვახსოვს მისი 1967 წლის ზაფხულის საკონკერტო გამოსვლა თბილისის სპორტის სასახლეში, თვალტანადობით ნაქებმა ფრიდონ სულაბერიძემ და იამზე დოლაბერიძემ ქართული ცეკვის უბადლო შესრულებისათვის ოქროს მედლებით დაიმსვენეს მკერდი. ერთობ, რთული გამოცდა ჩააბარეს, მაყურებელს ათქმევინეს, რომ ქართველთა „ქართული“ მხოლოდ რჩეულია ცეკვა, ქართული სისხლისა და ჯიშის ნაქარგია.

ვეფიქრობთ, ფრიდონისეული სახიერება, სიდარბაისლე და სინატიფე ქალთან ტრფილის სურათონება, თვით ქალის მწვაზარი ქრიალი და, საერთოდ, „შორით ელვა, შორით ტრფობა“ გახდა უმთავრესი შთაბეჭდილების წყარო, რომ უცხოეთში ემიგრირებულ გრიგოლ რობაქიძეს საქვეყნოდ გაეხმინებინა: „... ეს ცეკვა ქართულია, მას ქართველის გარდა, სხვა ვერ იცეკვებს, რასა არ ეყოფა“. ეს მგრძობიარე ნაზრევი ერთგვარი სიღრმისეული წვდომა იმისა, რომ „ქართული“ ეროვნული თვისება — ხასიათის, განუყოფელი პლასტიკით შემოქმედებული ქორეოგრაფიული სამკაულია. მისი მამა — პაპური ქარაგა ისტორიის გზა-ვიწროებშია გამოტარებული და შეუბღალავად შემონახული. ამაზე მოხდენილად ამბობს სწორუპოვარი „მექართული“: „ქართული“ ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ცეკვააო“. წრფელი გულიდან წამოსული ეს ფრთიანი ფრაზა, საგანგებოდ გაისმა ქართულ ქორეოგრაფიაში, რადგან საკუთრივ ფრიდონ სულაბერიძის გარდასახვაშია ზოგად ქართულის ბევრად პლასტიკური დამაჯერებლობა.

„მალლით მფრენი დაბლაც ხედავს“ — აღვნიშნეთ. ნიდაგ მამიბელმა ხელოვანმა თავისი ჩანაფიქრი, გულის ძგერა მთელი სისრულით გაასხივოსნა ქალაქურ ფოლკლორში ცეკვაში. რა თქმა უნდა, იგი ადვილად არ მომხდარა, ყარაჩოხელის ტიპის შეცნობისათვის ხელმოსაკიდ საშუალებებს გაეცნო, საამისო ცოდნაც არ აკლდა, პედაგოგ-ქორეოგრაფი ავთანდილ თათარაძე იყო მისი გზამკვლევი, მისგან აულო ადლო ქართული ცეკვის სიძნელეებს, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანად დვითური ილიკო სუნიშვილისა და ნინო რამიშვილის ქორეოგრაფიულ ქურაში გამოიწრო და გაფოლადდა. ხშირად ყვება მათს შემოქმედებით და პროფესიონალურ გენიალობაზე, თვით საქვეყნო ანსამბლის შეუდარებელ ხელოვნებაზე. „საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის უძლიერესი და უღამაზესი შემსრულებლები ჰყავდა ყოველთვის. საცეკვაო კომპოზიციური სახიობანიც თვალისმომჭრელი სურათონებით იპყრობდა მაყურებელს, თითოეული სოლისტი კი სცენური გამოსახველობის ორიგინალით გამოირჩეოდა“ — ასე წერს ერთგან ნიჭიერი მსახიობ-მოცეკვავე, რომელმაც „ძველი თბილისის სურათებში“ უიშვიათესი მხატვრული ქორეოგრაფიული სახე გამოქმენა.

ფრიდონისეული ყარაჩოხელი სულ სხვა იერის, ხორცმესხმული სახიერების, საამოდ ამღერებელი ტან-სხეულის სცენური ნათებაა. დაიხ, ფრიდონისეული იგი, რომლის საცეკვაო სურნელებამ საქართველო მოიცვა. ყველა ანსამბლის, პროფესიონალისა და თვითმოქმედი შემსრულებლის გული მონიანადირა.

„მალლით მფრენი დაბლაც ხედავს, უფრო ნათლად, უფრო დიდად“...

აპაკი

გამომსახველობისადმი მისწრაფებით, საშემსრულებლო სიახლეთა ძიებით ფრიდონ სულაბერიძემ ტრევალი სიკოხტავით წარმოაჩინა „განდაგანის“ — სატრფიალო ეპიზოდი. სხვათა შორის, აჭარაში წყვილურ სატრფიალოს მომხიბვლელად ცეკვავდა ხიბლიანი იამა ხალვაში, რომლის ნიჭიერებას ილიკო სუნიშვილიც აღნიშნავდა.

ფრიდონ სულაბერიძემ თავისეული სტილი, ფანტაზია, ლექსიკური მგრძობელობა შემატა ტრფიალების „ზღვათა ლელვას“, მიხვდა იმ უჩინარ მონატრებას, პოეტი რომ გვიქარავას: „განდაგანა — მონატრებით დავიწყების გადაქელვა, განდაგანა სიცოცხლეში სიყვარულით ზღვათა ლელვა“ (ფრიდონ ხალვაში). ჰოდა, მხრებიც გაისიგრძეანეს მისეულმა საგანდაგანო მეტაფორებმა, გააღამაზეს მხატვრულ-ქორეოგრაფიული კოლექტივების შემოქმედება. ვიტყვი იმასაც, რომ „განდაგანის“ წყვილურ ფრაგმენტში წარმტაცად ცეკვავდა იამზე დოლაბერიძე, რომლის „ქართული“ ურიცხვი მეხოტბო გაიჩინა ისევე, როგორც ფრიდონთან ერთად „ქართულში“ ციური სიმშვენიე გამოჩეულმა ტანკენარმა ლატავრა ფოჩიანმა.

უდავოა, სახელოვანი ფრიდონ სულაბერიძე მალალი კლასის მოცეკვავე და პედაგოგ-ქორეოგრაფია. მის კომპოზიციებში ავტორის სულის პორტრეტი, ფსიქოლოგიური ნიდასვლა, სამემსრულებლო დამაჯერებლობა და სასცენო კულტურა ისახება. იგი თავის პედაგოგიურ, სადადგმო-ქორეოგრაფიულ გამოცდილებას უხვად ავლენს ბავშვებთან მუშაობისას.

„საბავშვო ქორეოგრაფია ბევრს გვავალებს, თავი არ უნდა დაეზოვით მათთვის“ — ამბობს. ასეა სწორედ, უსაზღვროდ უყვარს ნორჩი თაობა, ახალგაზრდობა, რომელთაც უშურველად გადასდო ცეკვის „უკურნებელი სენი“... ცეკვის ერთი გოგო-ბიჭებს დაანათლა ქართული ზნე-ჩვეულებების, ვაჟკაცობის, მეგობრობის, მოყვრის დაფასების ტრადიციები. საამისოდ ისე და იმეგვრად აშალაშენებს ყოველივე საცეკვაოს, რომ ბავშვები უზრგვ ვერ შეაქცევენ გულახდილობას: „ეს რომ არ გვცოდნობდა, რა გვეშველებოდაო“. ერთი სიტყვით, მეტად საინტერესოა ფრიდონისეული შემოქმედებითი მიმართულება, სწავლებისა და აღზრდის სკოლა. თავისი ცოდნა და შესაძლებლობანი, პრაქტიკული მიზანსწრაფვა კარგად განახორციელა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის ბავშვთა საცეკვაო სტუდიაში. ჩამოაყალიბა ქორეოგრაფიული გაკვეთილის მნიშვნელოვანდ განსხვავებული, ეფექტური სწავლების განსაზოგადებელი მეთოდიკა. არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა გამოზარდა, რომლებიც უხვად აზიარა ქართული ცეკვების ნაირსახეობებს.

განსაკუთრებით საცოდნელია ფრიდონ სულაბერიძის საბავშვო ქორეოგრაფიულ ანსამბლ „რუსთავის“ ხელოვნება. საჩვენებელ კოლექტივად აქცია იგი, ყველას დააჩანა, რომ მალაღნიჭიერების, დღენიდად შრომის, ფიქრის და პასუხისმგებლობის გარეშე სანადელი ვერ მიიღწევა. თითოეულ ცეკვას ნოყიერი ნიდადგ მოუმზადა, არ მოაკლო ხალხურობის ძირეული საწყისებები.

სახიერი გოგო-ბიჭებიც მონდომებით ცეკვავენ, კარგად იციან, რომ მალაღნიდა აწყობილ კომპოზიციას დახვეწილი შესრულება უხდება. ერთი შეხედვით, აქ ერთგვარი ჩვეულებრივობაა, სინამდვილეში კი ბევრად მომგებიანი მიდგომაა: მხატვრულად დამუშავებული, მისადაგი ლექსით წარმოსახული ჩარჩო-ნახაზი შთაბეჭდილებით ფაქტორია, რომ ბავშვებმა მონდომებით შეასრულეს ცეკვები.

ნორჩებთან მუშაობის ასეთი ხერხი უთუოდ ნაადგება ახალგაზრდა ქორეოგრაფებს, მიაგნებიან მეტად სასურველ შედეგს.

თამამად ვიტყვი, რომ ფრიდონ სულაბერიძის სადადგმო სტილი ნოვატორულია, რაც მთელი სისრულით გამოიკვეთა პროფესიონალურ ხელოვნებაში.

... სამი ათეული წელია იგი პოპულარული სახელმწიფო ანსამბლის — „რუსთავის“ მთავარი ქორეოგრაფია. ბევრი სიხარული და სიკეთე მოუტანა სანაქებო კოლექტივს, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელია დიდებული ლობჯანი, ქართული ხალხური სიმღერის დაუღალავი მემკვიდრე ანზორ ერქომაიშვილი. სიმღერისა და ცეკვის ეს ორი „ძლიერი ამა სოფლისანი“ ცინცხალი შემოქმედების ჰარმონიულ გარემოში უქმნიან შემსრულებლებს. „რუსთაველთა“ მონოდებაა, რომ სულისფერებით ემსახურონ სამშობლოს, ხალხს და ამას კიდევაც აღწევენ, ისინი უყვართ დედაქალაქში, აჭარაში, გურიასა და სამეგრელოში, სვანეთსა და

რაჭა-ლეჩხუმში, აღმოსავლეთ საქართველოს ყველა სოფელსა და რაიონში, ლაზთიანი ცეკვა-სიმღერით უსაზღვრო სიამაყეს გვაბატებენ ჩვენი ქვეყნის მიღმა.

ეროვნული ქორეოგრაფიის ეპოქალური ნინო რამიშვილი წერდა: „სიმღერის მსგავსად, რომელსაც ხალხი ქმნის, ცეკვებსაც ხალხი შობს და ხვენს. იგი გამოხატავს ხალხის ფიქრსა და ოცნებას, სცენის კანონი ხალხური ცეკვის დამდგმელისაგან მოითხოვს, ოსტატურად შეუხმატებლოს ერთმანეთს ფოლკლორული მასალა და გონივრული თეატრალიზაცია“.

ანსამბლ „რუსთავის“ ცეკვები არ წარმოიდგინება ფოლკლორულ ნიშან-თვისებათა გარეშე, დრამატურგიული მომხიბვლელობითა და თეატრალიზებული სისადავით გვანონებენ თავს, ვაუები გემოვნებით ცეკვავენ ჩასმა-ჩაქვრის ნაერთებს, ცეკვის მელოდიას ნატიფ გამომსახველობას უძებნიან, ფრიდონისეულად გვიხატავენ სასცენო პასაჟებს. ქალების გრაციოზულობაც თვალისმომჭრელია, ტრადიციულ სახეობებს ახლებურად აფერადებენ. დიდ სახალხო, უიშვიათეს კონცერტებზე ეს ცეკვა მეტი სიკისკასით, ზეიმურად იმოსება, ცეკვის აპოთეოზში თვით ფრიდონ სულაბერიძე ჩნდება, თან შემოაქვს ფრეული ელვარება, მომწუსხველი არტისტიზმი, ფერთა სიუხვე.

ზემით მონათხრობი დიდი ხელოვანის სულის ყვილია. უკეთ რომ ვთქვათ, გული არ ნებდება წელთა მოძალებას, სიცოცხლე ნამდვილი მოვალეობაა მისთვის. მოვალეობის უშრეტი კარნახით აკინძა მასობრივი „ხორუმი“, „ფერხული-ფარცა“, „სვანური“, „ცერული“, ლირიული „ნარნარი“, „ძველი თბილისის სურათები“, „სამანია“, „რაჭული სიუიტა“, „ხეველური სიუიტა“, „მთიულურ-მოხევეური ცეკვები“, მსახიობ-მოცეკვავენიც არ იშურებენ შესაძლებლობებს, ცეკვავენ მალაპროფიულიად, მზინაგი ტექნიკურობით, ინვიან და გრიგალებენ სცენაზე. კარგად გაეგებათ, რომ ამ ქვეყნად სიკეთისათვის მოსულან და მართლაც, რა სჯობს იმას, როცა მალაპროფიული ფენიებათ ხალხის სიყვარული და პატივისცემა.

ახლახან „რუსთაველთა“ კიდევ ერთი გამოსვლა ვიხილეთ თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში, თვალსა და გულს ეამა სიმღერა — ცეკვის ამ ფერნაუვლი სპექტაკლის სიხასხასე. გონივრულმა რეჟისურამ თავისი „გაიტანა“. აღტაცებული დარბაზის წინაშე გადაიშალა მშობლიური მინის, ჩვენი მეობის მუდმივი ანწყვი, ფრიდონ სულაბერიძემ ითავა ეს ყოველივე, ფერი და მარლი შემატა დღესასწაულებრივ კონცერტს.

მალაღნი ხელოვანი სხვა სიკეთითაც ხასიათდება. მან არაერთი პუბლიცისტიკური წერილი, მოგონებები და ინტერვიუები დაგვიანტერესა, გაბედულად მოგვითხრობს ქართული ცეკვის ბედ-ღობაზე, შემოქმედებით თავისებურებებზე. რა თქმა უნდა, ირინებს ცალკეულ წამოწყებას, მაგრამ დაიმეტრალურად ემიჯნება უსარგებლო, მოჩვენებით და თვითმიზნურ ხელოვნებას.

უდავოდ, „სარგებლობისათვის ხელისა“ გამოაქვეყნა საცოდნელი წერილი „ჩემი სიხარული და გულისტკივილი“. მასში გარდასულ წელთა ნოსტალგიაცაა და თანამედროვეობასთან პირნათლად ყოფნაც. მიაჩნია, რომ ცეკვა თანამედროვეობას უნდა ეხმაურებოდეს და მასში უნდა ექმედეს თავის ადგილს, სწორად ანალიზებს, რომ „ფოლკლორი წარსულის ფესვებიდან მოდის, ანწყომი იხვენება, ვითარდება და გადაეცემა მომავალს. ფოლკლორში წარსულის შეინარჩუნება და უგულვებელყოფა, ანდა ანწყომი მოთხოვნილებათა გაუთავალისწინებლობა მხოლოდ ზიანს მოუტანს მას“.

განსაკუთრებული სიფრთხილისაყენ მოუხმობს ქორეოგრაფიას, შემსრულებლებს, მეტადე ქალთა ცეკვებზე მსჯელობს, ზომიერების დაცვაზე მოუწოდებს ყველას, გული შესტკივა, რომ „ქართული“ კარგავს წინანდელ წინყინებას, ტრადიციულ ხატოვანებას. არადა, ეს უნიკალური ხალხური მონაოვარი თაობებს გადაეცემოდა, როგორც სალოცავი სრულქმნილება, სიმბოლო ეროვნული სულიერებისა. ამიტომაცაა, რომ არ ისვენებს დიდ-სულოვანი მოღვაწე, ერისა და ბერის გასაგონად ხშიანობს, რათა არ წახდეს „ქართული“, არ გაცუდდეს „ხორუმი“ და „განდაგანა“, სვანური „მინაგოგელი“ „ცერული“ და სხვა ხალხური საცეკვაო სიმღერები.

მისი სხვა ნაწერებში, საგაზეთო ინტერვიუები საერთო, საზოგადოებრივ ინტერესებს ეხმაურება: „ოცდამეერთე საუკუნე, თანამედროვეობა არ ნიშნავს, მოგშალოთ ეროვნული, ყველაზე მთავარი, შევინარჩუნო ქართული



ცეკვის მუსიკა... ჩვენ არ გვჭირდება უცხო ქვეყნის მელოდია...

ამ ნათქვამს კბილი არ მოესინჯება. სხვისი მუსიკის, მელოდიის გამოყენება ეროვნული თავმოყვარობის შელახვაა. ქართული ცეკვა სხვა ჯიშისას ვერ შეეფუება, ვერ მოგვცემს სახარბიელო ნაყოფს, ამიტომაც ადასტურებს, რომ მხოლოდ ქართული რიტმი, მელოდია, ქართული მრავალსახოვანი საკრავები და ტკბილმომოვანი სიმღერებია ჩვენი ცეკვების ფრთაშესხმული სიცოცხლის საფუძველი.

სავსებით მართებულად შენიშნავს, რომ ზოგან ცეკვას არაპროფესიონალური, შემთხვევითი პირები ასწავლიან, რომელთაც არა აქვთ ქორეოგრაფიული განათლება, არ იციან ცეკვის ისტორია, შინაარსი და ხასიათი, ადვილად ექცევიან მოდერნიზმის ტყვეობაში, ცეკვებში ბრმად შეაქვთ უცხო ელემენტები, აკონკრეტებს, რომ ცეკვის დამდგმელს უნდა გაჩნდეს პედაგოგიური მიდგომის უნარი, ქორეოგრაფიული ალღო, შემოქმედებითი ხედავა და ეროვნულობის უტყუარი მრწამსი.

ცეკვის შემოქმედელი ჭირისუფალი არ კმაყოფილდება მარტოდენ კრიტიკით. პრაქტიკული მავალითებით აზუსტებს, თუ როგორ უნდა ხდებოდეს ცეკვის ახალი „საშენი მასალის“ დამუშავება.

ლირსსაცნობია „ქართულის“ ფრიდონისეული სწავლების მეთოდიკა. მისი საჩვენებელი ილეთ-მოძრაობანი, სვლები თუ გასმები მეტყველსა და ლაპიდარული, დასამახსოვრებლად ყველგოს საცეკვაო ლექსიკის დანიშნულებაზე. საერთოდ კი, გულიანი მოსაუბრეა, ღრმა-დაა ჩახედული ქორეოგრაფისმცოდნეობის საკითხებში, ინტერესდება ცეკვის სოციალური და კულტურული ასპექტებით. დაბეჯითებით ასაბუთებს, რომ ქართული ჩვენი სამშობლოს ყველა ოჯახში უნდა იცეკვებოდეს.

ბატონი ფრიდონი საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის სული და გულია. საქმის ცოდნით უძღვება კავშირის საპატიო მრჩეველთა საბჭოს, რომლის წევრებიც საქვეყნოდ აღიარებული მოღვაწენი არიან.

იგი ყრილობებზე, თათბირებსა და სხდომებზე საქმიანად ანალიზებს ცეკვის ცხოვრებას, იძლევა კეთილგონივრულ რჩევებს, მოყვრის ერთ ამბობს ცეკვის შეუსაბამო გამოყენებებზე, სატელევიზიო გადაცემების ტიპბუნცა, მსმენელი და გულითადი აღმქმელი მისი ნაზრევებისა კი ქართველი ხალხია, სწორედ ხალხი მიაგებს პატივს მის თავანკარა ხელოვნებას, მამულიშვილურ ღვაწლს, რასაც ნახევარსაუკუნოვანი შემოქმედებითი სიდიადე შქვია. ყოველივე ამისათვის მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება, გაიხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი; პრესტიჟულ უურნალო „სახეები და სახელები“ დასახელდა როგორც საუკუნის ხელოვანი. დაიხ, რჩეულთა შორის რჩეულია დიდსულოვანი ფრიდონ სულაბერიძე, ჩვენი ხალხის საამაყო შვილია და კიდევ ცოცხალი ლევანდა, რომლის გვარ-სახელი სხივანათლად იკიაფებს ეროვნული ქორეოგრაფიის წარსულში, ანწყოსა და მომავალში.

რეკავა ჭანიშვილი,

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე, პროფესორი
ზაურ ლაზიშვილი,
საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე



მზი – „სიცოცხლის თესლი“, ქრისტიანობაში ეს თავად იესო ქრისტეა „მზე სიმართლისა“.

მზი – უფლის სახელია, ბიბლიური სოლომონის „ქებათა-ქების“ მიხედვით. წმინდა მამები გვასწავლიან, რომ მაცხოვარი მზია.

ღისკო – ღვთაებისა და ძალუფლების სიმბოლოა, ხოლო ამომავალი მზე აღორძინებასა და კოსმოურ ენერჯის განახორციელებს.

მზი – სიკეთისა და სინათლის პირველწყარო, სიმამისა და ბარაქის სიმბოლოა. საქართველოს ფონზე ამომავალი მზე – მაღლი ქვეყნისა, განათებისა და სიცოცხლის მიმნიჭებელი.

ცის თაღი – სამყაროს, ზესკნელის, სკნელისა და ქვესკნელის გამაერთიანებელი.

სელაზი – შრომისა და შემოქმედების სიმბოლო.

მზი სინათლია – ჩვენთან მიღებული ცოდნა, თქვენი შვილების გაზრუნული მომავალი.

საქართველო – თაობა, ჩვენი სამშობლოს მომავალი საჭეთმპყრობელი.

სელაზი – მასწავლებლები, რომელთა მონდომებითა და რუდუნებით გამოიჭედება ღირსეული ეროვნული სულით აღზრდილი თაობა მსოფლიო ასპარეზზე გასასვლელად.



სკოლის დირექტორი და დამფუძნებელი
ლია ნამორაძე



სკოლის აღმასრულებელი დირექტორი
და დამფუძნებელი მასილ ქონინიძე

სკოლა ივერიონი

აწმვთა შობილი წარსულისაგან, მშობელი არის მომავლისა!

სკოლა „ივერიონი“ დააარსა მასწავლებელთა იმ გუნდმა, რომელსაც კერძო სკოლაში მოღვაწეობის ცხრანაწიანი გამოცდილება აქვს.

სკოლა „ივერიონი“ ფუნქციონირებს ევროპული სასკოლო სტანდარტებით ახლადშენებულ სამსართულიან შენობაში, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე, სწავლებისათვის საჭირო და აუცილებელი ტექნოლოგიებით.

სკოლა „ივერიონში“ ყველა საგანი ისწავლება გაღრმავებულად, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა სწორი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებასა და ერუდიციას, განაპირობებს მათ ხარისხიან განათლებას.

სკოლა „ივერიონი“, გამოცდილ მასწავლებელთა გუნდით და უახლესი აპრობირებული სწავლების მეთოდებით, უზრუნველყოფს საატესტატო და ეროვნულ გამოცდებში მოსწავლეთა უთუო წარმატებას.

სკოლა „ივერიონში“ შემუშავებულია პროექტი, რაც მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, ჩაერთონ საერთაშორისო გაცვლით პროექტებში, საერთაშორისო კონკურსებსა და ოლიმპიადებში.

სკოლა „ივერიონში“ დაგხვდებათ: სასიამოვნო ოჯახური გარემო; პროფესიონალი, სერთიფიცირებული მასწავლებლები; თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი საკლასო ოთახები; მრავალფეროვანი, მდიდარი ბიბლიოთეკა;

ეფექტური, უახლესი სასწავლო პროგრამები;

სასწავლო ცენტრი აბიტურიენტთათვის; სწავლების უმაღლესი ხარისხი; უცხო ენების საფუძვლიანი, გაღრმავებული სწავლება;

ბული სწავლება; კომპიუტერის შესწავლა; გახანგრძლივებული დღის რეჟიმი; ქართ. ხალხური ცეკვა, სიმღერა, საკრავები;

საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სპორტული დარბაზი; შემოქმედებითი და შემეცნებითი კლუბები;

ჭადრაკის სექცია; სკოლის ბაზაზე არსებული ქართ. ხალხ. ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები;

გამოყენებითი ხელოვნების სექციები:



თეატრ. გობელენი, ქარგვა; კვება; ტრანსპორტით მომსახურება.

ქართული და მსოფლიო კულტურის ინტეგრაცია ჩვენი მოსწავლეების წარმატებული მომავლის გარანტია.

მისამართი: თბილისი, გ. ჭყონდიდესის 26; ელ. ფოსტა: school.iverioni@gmail.com

ტელ: (+995 32) 2 66-52-10; ფაქსი: (+995 32) 2 66-52-10

ვებ-გვერდი: <http://www.skola-iverioni.ge>



რატომ დაერქვა „ივერიონი“

ივერია – იგივე ქართლი, აღ. და სამხ. საქართველოს ტერიტორიაზე დაახლოებით ძვ.წ. III – ახ.წ. VI სს-ში არსებული ადრეფეოდალური მონარქიული სახელმწიფო. ივერია, სინონიმია საქართველოსი, ივერიელი, იგივე ქართველია, ივერიონი – იგივე ათონის ივერთა მონასტერი, ქართველთა უდიდესი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი საბერძნეთში, რომელსაც ბერძნები „ივერიონს“ უწოდებდნენ.

ჰიმნი

ჩვენია ეს ცა -
მოსარკული მზითა და მთვარით.
ჩვენია მინა -
უფლის კალთიდან დაფერთილი ხვავით და მაღლით.
ჩვენია ეს ზღვაც, ის მდინარეც -
ფირუზისფერ მთა-გორაკებს მძივადასხმული;
ათასწლეულებს მორკინალი -
წინაპართ სისხლით, ოფლით, შრომით შენახული
ლოცვა-მამული!
ჩვენია გენი...-
მორაკრაკე ქართველის ძარღვში მყივანა სისხლად,
იშხანი, ხანძთა, შატბერდი, ბანა...-
სახელდებული უცხოთა მინად,
ჩვენია ფრესკაც ცინწვისისა,
ჩუქურთმაც ზარზმის, —
ცისქვეშეთს ღმერთმა მოგვავლინა ქართველად რაკი,
მრავალჟამიერ იყოს ჩვენი, ვიხაროთ, ამინ!



ჩვენი სკოლის ინფრასტრუქტურა

„ივერიონი“ ფუნქციონირებს ევროპული სტანდარტების შესაბამის თანამედროვე შენობაში, რომელიც 250 ბავშვზეა გათვლილი. შენობაში გათვალისწინებულია ყველა ის საერთაშორისო მოთხოვნა, რომელსაც სკოლა უნდა აკმაყოფილებდეს: განათების სისტემა, უწყვეტი ელექტრო ენერჯია, სველი წერტილების განლაგება, სამზარეულო, გათბობის სისტემა, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ა.შ.

„ივერიონის“ ინფრასტრუქტურა მოსწავლეებს ყველა პირობას უქმნის უმაღლესი ხარისხის განათლების მისაღებად და შემოქმედებითი უნარების გამოსავლენად. სკოლა აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, ინტერნეტითა და პროექტორით. მოსწავლე-

ების განკარგულებაშია სააქტო, საპრეზენტაციო და სპორტული დარბაზები, მდიდარი ბიბლიოთეკა და თანამედროვე სასადილო, რომელიც უზრუნველყოფს მათ კვებას. მე-5 კლასის ჩათვლით იკვებებიან ორჯერ, მე-5 კლასის ზევით კი – ერთხელ.

მოსწავლეებს ემსახურება ტრანსპორტი, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვების გადაადგილებას თბილისის ნებისმიერ ადგილას.

უახლოეს მომავალში სკოლა ყველა საბუნებისმეტყველო საგანში აღჭურვება უახლესი ლაბორატორიებით.

ამას გარდა თვეში ერთხელ ბავშვები გადაიან უფასო სამედიცინო შემოწმებას.

წარმობიდანთ

შპს „ივერიონის“ სკოლის შინა

შპს „ივერიონის“ სკოლა სახელმწიფოს კონტროლით ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას და ეყრდნობა დემოკრატიისა და ჰუმანიზმის ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებს ეროვნული ტრადიციებისა და ღირებულებების გათვალისწინებით.

- 1) აღზარდოს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი მომავალი თაობა.
- 2) იზრუნოს მოსწავლის ინტელექტუალური პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენისა და განვითარებისათვის. შეუქმნას მას ეფექტური გარემო კულტურული, სოციალური და პიროვნული ზრდისათვის.
- 3) უზრუნველყოს მოსწავლეთა შეფასების სისტემის შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალობა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად.
- 4) შექმნას მოსწავლეთა და თანამშრომელთათვის ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემო, განუვითაროს მოსწავლეებს ისეთი ღირებულებები, როგორცაა ღირსება, ურთიერთპატივისცემა, სამართლიანობა, სხვისი აზრის მოსმენა და აღიარება.
- 5) განუვითაროს მოსწავლეს საკუთარი მოვალეობების გააზრებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ზოგადი უნარ-ჩვევები, ჩამოაყალიბოს იგი კანონმორჩილ მოქალაქედ, იზრუნოს მოსწავლის სულიერ განვითარებაზე, სამოქალაქო და სამართლებრივ აღზრდაზე.
- 6) იზრუნოს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებაზე, შექმნას ხელსაყრელი, კონსტრუქციული და ნამახალისებელი გარემო მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის; უზრუნველყოს მოსწავლეებში თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი ცოდნის ფორმირება მათი ინტელექტუალური პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენა-განვითარებისათვის.

- სწავლების პრიორიტეტებია:
- 7) ქართული და მსოფლიო კულტურის ინტეგრაცია, რაც ჩვენი მოსწავლეების წარმატებული მომავლის გარანტიაა. ქართული კულტურისა და სულიერი ღირებულებების გათვალისწინებით მსოფლიო ხელოვნების ისტორიის შესწავლა (ლიტერატურა – როგორც ხელოვნება; თეატრალური ხელოვნება; მუსიკა; კინოხელოვნება; ფერწერა). ჩვენი პრიორიტეტის ძირითადი ამოცანაა, ავამაღლოთ მოსწავლეებში ზოგადი განათლების საერთო კულტურა, განუვითაროთ მოზარდებს ხელოვნებისა და კულტურის ნიმუშების აღქმის, მათი შეფასებისა და შეცნობის უნარი სწავლების პროცესში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.
 - 8) მე-11 კლასში ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი სკოლის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლების გარდა დამატებით ისწავლება ბიოლოგია კვირამი 2 აკადემიური საათი.
 - 9) ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ისტ-ის I-V კლასებში სწავლების გარდა, სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს I-დან VIII კლასის ჩათვლით ისტ-ის სწავლებას თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, რადგან სასწავლო პროცესში თანამედროვე ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აქტიური დანერგვა-გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა პროგრესული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.
 - 10) სკოლა დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ფარგლებში I-XI კლასებში მოსწავლეებს სთავაზობს გახანგრძლივებულ დღის რეჟიმს. ყველა ძირითად საგანს ამ კლასის მოსწავლეები ამზადებენ სკოლაში მშობლების სურვილითა და თანხმობით.
 - 11) უზრუნველყოფს სპორტულ-გამაჯანსაღებელ (რაგბი), ჭადრაკის, ქართული ხალხური საკრავებისა და სიმღერის წრეების ფუნქციონირებას.
 - 12) სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო საგნად ქართულ ხალხურ ცეკვას I-დან VIII კლასის ჩათვლით.
 - 13) დირექცია სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობით პროცესსა და გარემოზე აწარმოებს მუდმივ მონიტორინგს, აგროვებს და ითვალისწინებს შენიშვნებსა და წინადადებებს, რომელებიც გამოითქმება თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების, საზოგადოების წარმომადგენელთა მხრიდან, რაც შეიძლება საფუძველი გახდეს მისიამი ცვლილების შეტანისა.
 - 14) მისიის განახლება აუცილებელია 5 წელიწადში ერთხელ, ხოლო კორექტირება – ყოველი წლის ბოლოს.



სახელოვან ნინაშართა გზით

ჭანიშვილების გვარი ძირითადად გურის ტერიტორიაზე გავრცელებული, „ჭანები“ – ძველი კოლხელები. ჩვენი გვარი დიდი სიმრავლით არ გამოირჩევა ქართულ გვარებს შორის, მაგრამ ულამაზეს სოფელ ლიხაურში, სადაც დაიბადა წმინდა ექვთიმე თაყაიშვილი, ასე იციან თქმა: ჭანიშვილი მოცეკვავე ან მომღერალი უნდა იყოსო. გენებმა ჩემშიც იჩინა თავი.

დავიბადე ქ. ბათუმში 1977 წლის 30 ივნისს ხელოვანთა ოჯახში. მამა პროფესიით მხატვარი იყო, მაგრამ იგი შესანიშნავი მომღერალიც გახლდათ.

1970-იან წლებში იგი მღეროდა ბათუმის ვაჟთა ვოკალურ ანსამბლ „ორნანოში“, 1980 წლიდან – ანსამბლ „ხიხანში“. სიმღერის სიყვარული მამისგან მომდევს, სამი წლის ასაკიდან დავიწყე სიმღერის შესწავლა. მამა მასმენინებდა 20–30-იან წლებში გამოჩენილი მომღერლების ვარლამ სიმონიშვილის, ვლადიმერ ბერძენიშვილის, არტემ ერქომაიშვილის, აქვსენტი მეგრულიძის, დედას ლევანას და სხვათა ჩანაწერებს, ეს ტკბილი ჰანგები დღემდე ჩამესმის ყურში. ბიძაჩემი, მამის ძმა, ვახტანგ ჭანიშვილი განუშეორებელი ბანის შემსრულებელი იყო გურულ სიმღერებში. ქ. ბათუმში ასე იცოდნენ თქმა: ვარლამ სიმონიშვილის შემდეგ ადილა ალიფაშას ბანი ვახო ჭანიშვილმა შეასრულაო.

ოთხი წლის ასაკში, როცა უკვე კარგად შევისწავლე გურული სიმღერები, მამასთან და ბიძასთან გურულ კრიმანჭულს და პირველ ხმას ვმღეროდი.



გიორგი ჭანიშვილი

სოფელი ბაბუას როგორც პოეტს და თამადას ასე იცნობდა. ბაბუას ძმა – ნიჟა ჭანიშვილი გურული სიმღერების კარგი შემსრულებელი იყო, მისთვის გურული სიმღერები ვლადიმერ ბერძენიშვილს უსწავლებია. ნიჟა ჭანიშვილის შვილი – ჟორა ჭანიშვილი კარგია მოცეკვავე და ქორეოგრაფი გახლდათ. დღეს მისი სახელობისაა ლიხაურის ბავშვთა ქორეოგრაფიული სტუდია. გამორჩეულად დაიმკვიდრა გვარში და საზოგადოებაში სახელი ბატონმა რეზო ჭანიშვილმა. იგი წარსულში „ცეკვა ქართულის“ უბადლო შემსრულებელი გახლდათ, შემდეგ უკვე დიდი ქორეოგრაფი და მეცნიერი, მკვლევარი და ქორეოლოგი გახდა.

რეზო ჭანიშვილის ინიციატივით შეიქმნა საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი, რომელიც 1990 წელს დაფუძნდა. მაშინ კავშირის თავმჯდომარე ბატონი თენგიზ სუხიშვილი გახლდათ. 2010 წლის 13 ნოემბერს ერთხმად აირჩიეს საქართველოს ქორეოგრაფებმა ბატონი რეზო ჭანიშვილი კავშირის თავმჯდომარედ.

1983 წელს დედის ძმამ, ბატონმა ვახტანგ ლლონტმა, რომელსაც დღეს მთელი საქართველო იცნობს როგორც კარგ პოეტს, მიმეყვანა ბათუმის მაშინდელ პიონერთა პარკთან არსებულ ბავშვთა ქორეოგ-



ლუკა ჭანიშვილი

რაფიულ ანსამბლ „გაზაფხულში“, რომლის პედაგოგი და ქორეოგრაფი იყო თამაზ ბეჟანიძე. ბატონ თამაზ ბეჟანიძეზე ბევრი რამ შემიძლია გავიხსენო და მოვყვე. ეს არის ადამიანი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს აღზრდაში, ასე განსაკუთრებულად რომ შემასწავლა ქორეოგრაფია, ქართული ცეკვა, რომელსაც ასე ვუნოდე – „საოცრებათა შორის შედევი“. ანსამბლ „გაზაფხულში“ ცეკვა 15 წლის ასაკში დავამთავრე და თამაზ მასწავლებელმა რეპეტიტორად დამიყენა. როცა მითხრა – გიორგი, ჩემთან თუ იმუშავე რეპეტიტორადო, სიხარულის განცაში დავფრინავდი. აი, ამ დროს დაიწყო ჩემი ქორეოგრაფად ჩამოყალიბება. არ შემიძლია, არ გავიხსენო დედაჩემის



ბაბუა – გიორგი ჭანიშვილი შესანიშნავად უკრავდა ჩონგურს და მღეროდა.



დედა, ჩემი საყვარელი ბებია – ქალბატონი ნაზი ბერაძე, ბებიას ამ ქვეყანაზე ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს აღზრდაში. მახსოვს, სკოლიდან გამომიყვანდა და რეპეტიციაზე მივყავდი ერთი საათით ადრე, როცა ვეკითხებოდი, – ბებო, ჯერ ხომ ადრეა, რა გვინდა, ერთი საათია რეპეტიციამდე, ასე მეტყოდა ხოლმე: შენ ივარჯიშე შენს თავზე, დაამუშავე რაც გაქვს გასაკეთებელი და მომავალში გამოგადგებაო. ერთი საათით დამოუკიდებელი მუშაობის შემდეგ უკვე კარგად ოფლად დაღვრილი ვუერთდებოდი ანსამბლს, სადაც სოლისტი გახლდით.

1987 წელს ძალიან დიდი თოვლი მოვიდა ბათუმში, ტრანსპორტი ძლივს მოძრაობდა. ჩემთვის რეპეტიციის გაცდენა წარმოუდგენელი იყო. ასე მიმაჩვია ბებიამ. მახსოვს, იმ დღეს რეპეტიცია მქონდა, გარეთ, რომ იტყვიან, ძალღი არ გაიგებოდა, ისეთი ქარბუქი იყო, ავტეხე სახლში ტირილი, რეპეტიციაზე წამიყვანეთ, ვერ გავაცდენ, გინდაც დაინგრეს ყველაფერი–მეთქი. ბებიამ მითხრა – შვილო, ამ ამინდში როგორ წავალთ, არაფერი მოძრაობს, იქ არა-

მე-9 და მე-10 გვერდებში
წარმოდგენილია ბიორბი ჭანიშვილის
ნამუშევრები
გაბრძელება 10 გვ. ▶

გვარიზვილოზა

◀ დასაწყისი 9 გვ.



ვინ მივა, მასწავლებელიც არ იქნებაო. მე მაინც ჩემი გავიტანე. ამ ტირილით და მე და ბებია წავიდით. სახლიდან რომ გამოვედით, ბებია შეშინდა და უკან მაბრუნებდა, მე არ დავემორჩილე და მაინც ჩემი გავიტანე მახსოვს, ქოლგაც გაგვიტეხა ქარმა. გაჩერებასთან ნახევარი საათი ველოდებოდით ავტობუსს და როგორც იქნა გამოჩნდა. ავტობუსში ერთი ადამიანი იჯდა, ალბათ ისიც ჩვენნაირი „გიჟი“. როგორც იქნა, ლოღვა-ლოღვით მივედით, ძალიან ვინვალებით და დავსველდით. დარბაზის კარი რომ გავაღე, თამაზ მასწავლებელი ჯამებს უდგამდა ჭერიდან ჩამოსულ წყლის წვეთებს, კარის ხმაზე შემობრუნდა, გაკვირვებულმა გვითხრა – აქ რამ მოგიყვანათო. ახლო-მახლო ვინც ცხოვრობს, ისინი ვერ მოვიდნენ და თქვენ ამხელა გზიდან

სახელოვან ნინაპართა გზით



„აბესალომ და ეთერი“. ამ სპექტაკლში ცეკვა „ქართული“ შევასრულე. 1997 წელს გამოვემშვიდობე ჩემს ქალაქს და



ლე. 1997–დან 2000 წლამდე ვმუშაობდი მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ანსამბლ „მერანში“ რეპეტიტორად ბატონ რეზო ჭანიშვილთან.



2000 წელს დავაარსე ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „განძი“, რომლის ხელმძღვანელიც დღემდე გახლავართ, ვარ საქართველოს ქორეოგრაფიის შემოქმედებითი კავშირის გამგეობის წევრი, აჭარის რეგიონის კურატორი, დავაარსე ეროვნული კოსტუმების საამქრო „ჩაქურა“, ვარ მისი დირექტორი და კოსტუმების დიზაინერი. ვუკრავ ათამდე ინსტრუმენტალურ საკრავზე და ვწერ ლექსებს, ვხატავ. შესრულებული მაქვს 50–მდე ფერწერული ნამუშევარი.



გადმოვედი თბილისში, ჩავირიცხე სუბიშვილების ნაციონალურ ბალეტში, სადაც წელიწადი და ექვსი თვე ვიცეკვე, მონაწილეობა მივიღე ათამდე კონცერტში.

ჩემი თბილისში ჩამოსვლა განაპირობა სუბიშვილების ანსამბლში მოხვედრის სურვილმა. პირველ წლებში ძალიან გამიჭირდა – უცხო ქალაქი, ახალი მეგობრების შექმნა, ახალი სამსახური... ლამის უკან დაებრუნდი...

1999 წელს მიმიღეს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ სახელმწიფო თეატრში, სადაც 9 წელი ვიცეკვე სპექტაკლებში: „დაისი“, „გორდა“, „ქეთო და კოტე“, „აბესალომ და ეთერი“. ვიყავი აკადემიური თეატრის მექართუ-



როგორ მოხვედითო. ბებომ უთხრა: არ დამიჯერა შვილიშვილმა, ამის ბრალიაო, მოკილა სახლში, თავი გადაგვდგა სუყველა. გავჩერდით ერთი საათი, ცოტაც გავთბით ღუმელთან, ქარბუქიც მინელდა და შინ წამოვედით.

დღეს ჩემს მოსწავლეებს ჩემი რეპეტიციის გაცდენა რომ არ ახსოვთ, ბებიაჩემის დამსახურებაა.

სკოლის დამთავრების შემდეგ ცეკვა გავაგრძელე აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მოსამზადებელ სტუდიაში, საიდანაც ექვსი თვის შემდეგ გადამიყვანეს ანსამბლში, რომლის ხელმძღვანელი გახლდათ თემურ ბიბილეიშვილი.

6 წელი ვიცეკვე აჭარის სახელმწიფო ანსამბლში, წამყვანი სოლისტი გახლდით. 1993 წელს ბათუმში დაარსდა ი. ჭავჭავაძის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრი, სადაც დაიდგა სპექტაკლი



მამის სათქმელი

(რეზო ჭანიშვილს)

მამა არ გახსოვს, – დიდი ქართველი! შენთან რომ დარჩა ბევრი სათქმელი, ის უსამართლო წყობამ იმსხვერპლა, გადასახლება იყო სასჯელი.

მამინ ჩვენ გვარშიც ნისლი ჩამონვა, არსით არ ჩანდა თითქოს საშველი, ილიმებოდა წუთი-სოფელი – შემზარავი და ყოვლის წამშლელი.

მამის სახელმა ძალა შეგმატა, სულმა გინათა გზანი სავალი, გვარმა ნიჭი და გენი გიბოძა, – სცან მომავალი და წარმავალი!

მამა არ გახსოვს, მას კი ახსოვხარ, შენ გულში იწვის როგორც სანთელი, ის, რაც ერისთვის შენ გააკეთე, ალბათ ეს იყო მისი სათქმელი!

2010 წ. მაისი

„მიტოვებულ სახლს“

დაცარიელდა ძველი სოფელი, ვერსად იპოვი კაცს, აქ კანტი-კუნტად თუ გაიგონებ ყურს მონატრებულ ხმას. მარტოობისგან სევდამორეულს ცრემლი მოადგა სახლს, ერთ დროს კერია გაუნელებელს, ვინ შემოაცლის ხავსს... დაცარიელდა მოდგმა ნინაპრის – ვერსად იპოვი კაცს, არავინ იცის, რა ეშველება ჩემს მიტოვებულ სახლს.

2009, დეკემბერი.



რი, საცეკვაო კოსტუმების ესკიზები და სხვა. 2000 წელს შევქმენი ოჯახი, მყავს მეუღლე და ორი ვაჟი. ვამაყობ, რომ ისინი აგრძელებენ და უფროთხილდებიან წინაპართა გზას. უფროსი შვილი – ლუკა უკვე წარჩინებული მოცეკვავეა. იგი განსაკუთრებულად იხდენს ქართულ ცეკვას, ჩვენს გვარში მეოთხე მექართულეა. უკრავს ქართულ ხალხურ საკრავებზე და შესანიშნავად მღერის.

ბედნიერი და ამაყი ვარ ჭანიშვილების შთამომავლობით. მაღლობას ვუხდი ჩემს წინაპრებს, ჩემს მშობლებს და მასწავლებლებს, ვინც უდიდესი წვლილი შეიტანეს ჩემს ალბრდაში და მამულიშვილად ჩამოყალიბებაში.

გიორგი ჭანიშვილი



ქართული ცეკვის ფენომენი

სამყაროში ყველაფერი მოძრაობს და ცვალებადობს, ყველაფერი განვითარებას განიცდის. ეს სამყაროს უნივერსალური წესია... ამგვარი შესავლით ეს წერილი იმიტომ დაიწერა, რომ კარგად გვეხმარება: არსებობს დროული უწყვეტი კავშირი; გვეხმარება, რომ „ანწყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა“ (ლაიბნიცის ილიასეული თარგმანი); ვიცით ისიც, რომ ადამიანური სიცოცხლე სწრაფმდინი და სწრაფწარმავალია (მარკუს ავრელიუსი) და ისიც, რომ „იგი ნავა და სხვა მოვა, ტურფასა საბაღნაროსა“ (შოთა რუსთაველი).

და მაინც, არსებობს საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროები, რომელთა წინსვლასა და განვითარებაზე ლაპარაკი სრულიად პირობითია. ვგულისხმობთ, ვთქვათ, ზნეობას, კულტურას (პირველ რიგში, ხელოვნებას).

დიახ, დღეს არნახული ტემპით ვითარდება მეცნიერება და ტექნიკა. მხატვრული შემოქმედება არ არის ჩართული ამ „მართლში“, რამეთუ მხატვრული ნაწარმოების სიძლიერე დამოკიდებულია ცალკეულ ინდივიდთა ნიჭსა და ტალანტზე. „ვეფხისტყაოსანი“ XII საუკუნის ძეგლია, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ მას ნაკლები მხატვრული ღირებულება გააჩნია, ვიდრე შემდგომ საუკუნეებში შექმნილ ნაწარმოებებს.

დღემდე აუღებელ მწვერვალებად რჩება ჰომეროსი, რუსთაველი, ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო, რაფაელი, დანტი, შექსპირი, დოსტოვესკი, ტოლსტოი, გალაკტიონი და ა. შ. და ეს იმიტომ, რომ ამ გენიალურ ადამიანთა შემოქმედება თავისი სიმადლით, რომ „არ სდევნენ ჟამთა სვლას“.

ხელოვნების ნაწარმოებთა დროში ასეთი სიმტკიცისა და სიმყარის უპირველესი მიზეზი თვით ხელოვნების სპეციფიკაში უნდა ვეძებოთ. ვგულისხმობთ მის უნიკალურობას, განუმეორებლობას, თვითმყოფადობასა და თავისთავადობას. ვგულისხმობთ იმას, რომ პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, მხატვარი, მუსიკოსი, სკულპტორი, რეჟისორი, ქორეოგრაფი – თითოეული მათგანი ქმნის ისეთ ახალ სინამდვილეს, რომელსაც მის გარდა სხვა ვერავინ შექმნიდა, ნიკონწმინდის ტაძრის სილამაზით, მისი ავტორის დიდოსტატობით სხვაგვარად აღფრთოვანებულა, მაგრამ „ქებათა ქება ნიკონწმინდას“ მარტო გალაკტიონ ტაბიძემ დაწერა. ნიკოლოზ ბარათაშვილი სულ 28 წლისა იყო, რომ დაიღუპა, არადა, ის, რისი დაწერაც ვერ მოასწრო გენიალური „მერანის“ ავტორმა, სამუდამოდ დაიკარგა კაცობრიობისათვის.

ხელოვნება იმით არის უნიკალური, რომ მისი გამეორებაც გამორიცხებულია და „გაუმჯობესებაც“. თუ ეს ითქმის ხელოვნებაზე საერთოდ, მით უმეტეს ეს ითქმის ხელოვნების ძეგლებზე. ყველამ ვიცით, რომ მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან მხოლოდ ერთია გადარჩენილი, მაგრამ დანარჩენი ექვსის აღდგენა (კიდევაც რომ შეიძლებოდა) აზრად არავის მოუვა.

ლუვრის მსოფლიო შედევრთა შორის არის ვენერა მილოსელის ხელემომტერეული ქანდაკება, როგორც დასტური ჟამთა სიავისა. ამბობენ, რომ თითქოს იყო მისთვის ხელების „მიბმის“, „აღდგენის“ ცალკეული მცდელობა (რაც წარმოუდგენლად მიგვაჩნია), მაგრამ ყოველი ასეთი მცდელობა, საბოლოო ჯამში, დიდ მკრეხელობად აღიქვეს და ამიტომაც ქანდაკება დღესაც ასევე ხელემომტერეული დგას და, უეჭველია, ასე იქნება მანამ, სანამ კაცობრიობა იარსებებს და სანამ ადამიანები მშვენიერებას, სილამაზეს მიიჩნევენ ერთ-ერთ უმაღლეს ღირებულებად.

ქართული ენის დიდ რეფორმატორს, ქართველი ერის სულიერ მამას ილია ჭავჭავაძეს აქვს პოემა „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“. დღეს ყოველმა განათლებულმა ადამიანმა იცის, რომ სათაურში სიტყვა „ცხოვრებიდან“ ძველი ფორმით წერია, მაგრამ

არცერთ გამომცემელს არ მოუვა აზრად, რომ ეს სიტყვა დღეისათვის მიღებული სწორი ფორმით დაწეროს იმიტომ, რომ იგი ილიასეულია და მან ისევე უნდა გააგრძელოს არსებობა, როგორც ილიამ დაწერა თავის დროზე.

ასეთი მაგალითების გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება, მაგრამ მიგვაჩნია, რაც ითქვა, ისიც საკმარისია იმის საჩვენებლად, რომ მხატვრულ შემოქმედებას სრულიად განსხვავებული, არაჩვეულებრივად სათუთი დამოკიდებულება ესაჭიროება.

მაგრამ თუ ეს ითქმის მხატვრულ შემოქმედებაზე საერთოდ, მით უმეტეს ეს ითქმის მხატვრული შემოქმედების ხელი-ხელსაგომანებ ნიმუშებზე, ნაწარმოებებზე, რომელთაც სრულყოფილების მწვერვალს მიაღწიეს და მსოფლიო შედევრების საგანძურში შევიდნენ.

ჩვენი ღრმა რწმენით, ქართული ხალხური ცეკვები და სიმღერები მსოფლიო კულ-

ორნამენტი, ქართული სიმღერა და ა. შ. ყველა ისინი ობიექტურად ქცეული გონია, რომელშიდაც სწორედ რომ ქართული სულია განვითარებული.

როგორც თ. ბუაჩიძე ამბობს, ერის ერთობა, უპირველეს ყოვლისა, გონითი ერთობაა. ქართველთა ის, ვინც აითვისა და გაითავისა ქართული ობიექტური გონის ფენომენები, მის სიღრმეში „ჩამალული“ ქართული. სწორედ ასეთია ქართული ცეკვა, იგი ქართული გონის გამოხატულებაა ისევე, როგორც ხელოვნების სხვა სახეები. იგი თავის დროზე (საუკუნეების წინათ) სუბიექტის ან სუბიექტთა მიერაა შექმნილი, მაგრამ იგი შემდგომში ობიექტურ გონად იქცა ისევე, როგორც ლექსი, მუსიკალური ნაწარმოები, ნახატი, სკულპტურა, არქიტექტურის ნიმუშები და ყველა ისინი, როგორც უმაღლესი კულტურული ღირებულებები, მოითხოვენ არჩვეულებრივად სათუთ მოპყრობას და თვალის ჩი-

მეტად მის მაღალ ზნეობას, უდიდეს მოკრძალებასა და პატივისცემას ქალისადმი. ქალის მანდილი ამ ცეკვაში უდიდესი სიმბოლური დატვირთვის დეტალია. იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ის მხატვრული სახეა, რომელშიდაც უნდა გაგვაგებინოს ცეკვის საზრისი და ფილოსოფიური შინაარსი.

მამაკაცთა შორის ჩაგდებული თეთრი მანდილი არა მარტო ქალის თავისუფალი ნების და მამაკაცების ურთიერთშერიგების სურვილის გამოხატულებაა, არამედ იგი, იმავდროულად, არის სიმბოლო ზავის, მშვიდობის, კეთილმოსურნეობის. ისტორიულად ცნობილია, რომ, თუ მტერი თეთრი ბაიარალით მოდიოდა, ეს ზავის, ნეიტრალიტეტის, დამორჩილების სიმბოლო იყო და ასეთ მტერს უპრობლემოდ ატარებდნენ მონინალმდეგეთა ბანაკში.

ამასთან, თეთრი ფერი ოდითგანვე იყო სინმინდის, სისპეტაკის, უბინოების სიმბოლო.

აი, ამგვარი საზრისები იკითხება ამ ცეკვაში, როგორც ქართველი კაცის შინაგანი ბუნების „გარეგან“ გამოსახულებაში. გემოვნებიანი მაყურებელი და მსმენელი მიჩვეულია ამგვარი საზრისების ამოკითხვას „ტექსტშიც“ და „ვეტექსტშიც“ და ამიტომ, რომ მას მარტო ცეკვის პლასტიკა და დახვეწილობა კი არ იზიდავს, არამედ ქართული სული, ქართული ხასიათი, ქართული ადამიანური ურთიერთობები.

სხვათაშორის, ქართული კულტურის დარგებიდან ქართული ცეკვა იმიტომაც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საზღვარგარეთ, რომ, თუ ქართული ლიტერატურის, სპექტაკლის, კინოფილმის გაგებას ქართული ენის ცოდნა სჭირდება, როგორც „ტექსტის“ ათვისების აუცილებელი პირობა, ცეკვას თავისი საკუთარი ენა აქვს – პლასტიკის ენა, რომელიც ყველასათვის თანაბრად გასაგებია და რომელშიდაც ყველაზე უკეთ იკითხება ქართველის „შინაგანი“ ბუნება.

ამ საკითხზე ასე ვრცლად იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ, თუ ამ ცეკვიდან ქალის მანდილს ამოვიღებთ, ამით, ჩვენ გავალაზრებთ და გამოვიფიტავთ ცეკვას და, რაც მთავარია, გამოვაცლით ქართულ სულს და აგრესიულ ცეკვად ვაქცევთ. საქმეს ვერ შევლის ვერც საუკეთესო სამემსრულებლო ტექნიკა და ვერც პროფესიონალიზმი.

ქართულ ცეკვათაგან ერთ-ერთი გამორჩეულია „ხორუმი“. იგი მოგვითხრობს ქართველი ხალხის მებრძოლ სულზე, მის გამირობასა და ვაჟკაცობაზე. ცეკვა იწყება მტრის ბანაკის თვალთვალთ. მებრძოლი ერთი ჯგუფი წრეს კრავს, მეორე მათ მხრებზე დგებიან და ისე ზვერავენ მტრის ბანაკს. როცა ყველაფერს შეისწავლიან, მეომრები კვლავ საბრძოლო წყობაზე გადადიან და „ხორუმის თავის“, ანუ „თავმოსამეს“ ნიშანზე ჯერ ჩაჩოქილი ეპარებიან მტერს, მერე ნელში სწორდებიან და მოკლე ხანჯლებით მონინალმდეგისკენ მიიწევენ. „თავმოსამეს“ ხელში გაშლილი დროშა ფრიალებს, ნიშნად ქართველთა უძლეველობისა და სიმტკიცისა. სწორედ იმ მომენტში, როცა გამარჯვება თითქოს გარანტირებულია, უცერად „თავმოსამე“ იჭრება, წამით საბრძოლო დროშაც იხრება ქვემოთ, მაგრამ ეს მხოლოდ წამით. შემდეგ ყველაფერი ისევ ძველ მდგომარეობას უბრუნდება. გაშლილი დროშა ისევ ზეალმართულია, ნიშნად ქართველთა უძლეველობისა. მეომრები დაჭრილი მეთაურს ზე აიტაცებენ და მოლიმარი მეთაურით ხელში ტოვებენ საბრძოლო მოედანს, ანუ სცენას.

მოლიმარი მეომარი იმის სიმბოლოა, რომ ქართველ კაცს არც დაჭრის და არც სიკვდილის არ ეშინია. დიახ, ვიჭრებით და მშვიდად ვართ, ვკვდებით და მაშინაც არ ვვარდებით სასონარკვეთილებაში, რადგან კარგად ვიცით, რომ ვენიერებით ყველაზე დიდ, ყველაზე მაღალ ღირებულებად მის მაღალ ზნეობას, უდიდეს მოკრძალებასა და პატივისცემას ქალისადმი.



ტურის მართლაც რომ დიდ საგანძურს წარმოადგენს, თუმცა ამჯერად მხოლოდ ქართული ხალხური ცეკვის შესახებ გვექნება მსჯელობა.

რასაკვირველია, ქართულმა ცეკვამ ვიდრე იმ სახეს მიიღება, რაც მას დღეს აქვს, განვითარების დიდი და გრძელი გზა განვლო, იგი საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა, უმჯობესდებოდა, იხვეწებოდა, სულ უფრო და უფრო სრულყოფილი ხდებოდა და, საბოლოო ჯამში, მან სრულქმნის ისეთ დონეს მიაღწია, რომ იგი მსოფლიო კულტურის საგანძურში შევიდა, როგორც „ქართული ცეკვის ფენომენი“ და როგორც უმაღლესი ზოგადსაკაცობრიო ღირებულება.

მაინც, რატომ მოიპოვა ქართულმა (ხალხურმა) ცეკვამ (და სიმღერამ) ასეთი საყოველთაო აღიარება?

დავიწყით იმით, რომ ქართული ცეკვა, ცხადია, ოდენ მაყურებლის გართობისა და სიამოვნების მინიჭების საშუალება არ არის. მასში, როგორც ქართული კულტურის ერთ-ერთ ფენომენში, იკითხება ეროვნული სული, ქართველი კაცის დამოკიდებულება ბუნებასთან, საზოგადოებასთან, სხვა ადამიანებთან, სიკვდილ-სიცოცხლესთან, მისი მსოფლხედვა, ღირებულებითი ორიენტაცია, ხასიათი, ტემპერამენტი, ნიჭიერება და ეს იმიტომ, რომ ქართული (ხალხური) ცეკვა ობიექტად ქცეული ქართული გონია. იგი, როგორც თანამედროვე ჰერმენევტიკოსები ამბობენ, ის „ტექსტია“, რომელშიდაც უნდა ამოვიკითხოთ მასში ჩადებული საზრისი, ქართველი კაცისათვის დამახასიათებელი ისეთი სპეციფიკურ-ადამიანური თვისებები, როგორებიცაა: სამშობლოს სიყვარული და ერთგულება, რაინდობა, „კაი ყმობა“, მეგობრისადმი თავდადება და თანადგომა, რელიგიური ტოლერანტობა. ასეთივე ტექსტებია: „ლექსი ვეფხვისა და მოყმისა“, „ვეფხისტყაოსანი“, ქართული მითი, ლეგენდა, ზღაპარი, ქართული ფრესკა და

ნივით დაცვას. ქართულ ცეკვაში ქართული ეროვნული გონითი სული რომ არის განფენილი, ამიტომ იკითხება მასში ქართული ეროვნული ტრადიციები, ადათ-წესები, ზნე-ჩვეულებები, ქართველი კაცის სპეციფიკური ნიშან-თვისებები: თავისუფლებისაკენ სწრაფვა, „ჭირთა თმენისა“ და ნინაღმდეგობის დაძლევის უნარი, მამულის სიყვარული, ქალისადმი საოცრად ამაღლებული სათუთი დამოკიდებულება, მომავლის რწმენა. აქვე ჩანს ქართველი ქალის კდემამოსილება, სიღარბილე და სინარჩანარე, სინაზე და სილაამაზე.

ზემოთქმული სიტყვები რომ ცარიელ განცხადებად არ დარჩეს, ჩვენ სულ რამდენიმე ქართულ ცეკვას გავიხსენებთ და მათში ჩადებული საზრისის გადმოცემასაც შევეცდებით:

ყველამ ვიცით, რომ ცეკვა „ხევსურულში“ ქალის გულის მოსანადირებლად, მისთვის თავის მოსანონებლად მამაკაცებს შორის ხმლით კეჭნაობა იმართება. ქალი უდიდესი ინტერესითა და გულისფანცქალით ადევნებს თვალს ამ ორთაბრძოლას. მისთვის არ არის ადვილი, გაარკვიოს, ვინ არის ძლიერი და ვის სასარგებლოდ უნდა გააკეთოს არჩევანი. მამაკაცები ამას გრძნობენ და არც ერთი მხარე უკან დახევას არ აპირებს. გამარჯვების წყურვილი იმდენად დიდია თითოეულში, რომ ბრძოლა უფრო და უფრო მძაფრდება. ქალს ენაება ერთიც და მეორეც. ხედავს, რომ მდგომარეობა სულ უფრო იძაბება, ინტუიციით გრძნობს მის მოსალოდნელ ტრაგიკულ დასასრულს და ამიტომაც ეღვის უსწრაფესად მიგოგმანდება მორკინალ მამაკაცებთან და მათ შუა თავის თეთრ მანდილს ჩააგდებს. და ხდება სასწული – მამაკაცები მსწრაფლ წყვეტენ ბრძოლას და ქალის წინაშე თავდადრეკილები გაქვავდებიან.

თავისთავად ცხადია, ეს ცეკვა ხაზს უსვამს ქართველი მამაკაცის სიმამაცესა და ბრძოლისუნარიანობას, მაგრამ ყველაზე

თვალსაზრისი

ქართული ცეკვის ფენომენი

◀ დასაწყისი 11 მმ.

ბებს – მშობლიურ მიწა-წყალსა და მშობელ ხალხს.

ვფიქრობთ, ცეკვა „ხორუმის“ ამგვარი დახასიათების შემდეგ სრულიად გაუგებარია „ქალთა ხორუმის“ არსებობა. ეს უკვე ემანსიპაციის გამოხატულებაც კი აღარაა. ეს არის ქართველი ქალის კდემამოსილების, სინაზის, სინარნარის, სიკეკულუცის დაცინვა. აბა, ვის გაუგონია ხანჯლით მეომარი ქართველი ქალი?! ამგვარი ექსპერიმენტების ავტორები არა მარტო „ხორუმის“ ფილოსოფიურ სიღრმეს ვერ სწვდებიან, არამედ არც ის იციან, რომ „ქართველი მეომარი ქალის“ ტერმინიც კი არ არსებობს (გარდა მითური ამორძალებისა). „ქალთა ხორუმი“ – ეს საქართველოს ისტორიის ფალსიფიცირებაა და, რაც მთავარია, ქართული ეროვნული ხასიათის სრული გაუთვალისწინებლობა და უგულვებელყოფაა.

ან ავიღოთ ცეკვა „ჯეირანი“, როგორც სუბიმივილი-რამიმივილის ანსამბლის უბრწყინვალესი მოცეკვავე ლატავრა ფორჩიანი ამბობს, ჯეირანი ულამაზესი ცხოველია. ისე ლამაზი, რომ მასზე სანადიროდ წასული მონადირეებიც კი ზოგჯერ იმდენად იხიბლებიან მისი ცქერით, რომ მოსაკლავად ვერ იმეტებენ. ცეკვაში სწორედ ჯეირანისა და მონადირეების ეს ურთიერთმონონება და „ხიბლში ჩავარდნა“ ხაზგასმული.

მაგრამ, თუ ეს ცეკვა ისე დაიდგმება, რომ იქნება მხოლოდ ჯეირანი და არ იქნება მონადირეები, ამბობს ქალბატონი ლატავრა, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ სრულიად დაუკარგო მას ის ხიბლი, რაც მას თავდაპირველად გააჩნდა, ანუ დაუკარგო სიღრმე, გამოაცალა საზრისი და ცალკეული ილეთების თუნდაც მალაპროფსიული შესრულების ტექნიკად წარმოადგინო.

იგივე ითქმის ცეკვა „ქართულზე“. ამ ცეკვაში, გარდა ქალისა და მამაკაცის გარეგნული სილამაზისა და მომხიბვლელობისა, ხაზგასმულია მამაკაცის კრძალვა და რიდი, უღრმესი მონივნება და თაყვანისცემა ქალისადმი. ჩვენი უნიჭიერესი მოცეკვავე, ცეკვა „ქართული“ განუმეორებელი შემსრულებელი ბატონი ფრიდონ სულაბერიძე მარტო საცეკვაო ილეთების უბადლო, ვირტუოზული შესრულებისათვის კი არ შეიყვარა ქართველმა ხალხმა, არამედ იმისთვისაც, რომ მისი გმირი (პერსონაჟი) ნამდვილი ქართველი რაინდია, ღირსებითა და სიღირსებით სავსე, ზრდილი, თავაზიანი, ქალის უაღრესად პატივისმცემელი.

კიდევ ერთხელ გავიმეორებთ: ქართულმა გენიამ ქართული ცეკვაში ყველა საუკეთესო ქართული თვისება ჩადო და ამიტომაც არ შეიძლება მისთვის ხელის ხლება, მისი გადაკეთება, მისი „განვითარება“, თუნდაც იმიტომ, რომ არავინ იცის, სინამდვილეში ეს მისი განვითარება იქნება თუ არა. იმის ნიშნად, რომ არ შეიძლება ძველი ტრადიციებისა და ახალი ნოვაციების მექანიკური შერწყმა-ინტეგრირება, ახალი ესთეტიკური ძველის „გამდიდრება“, ერთ ასეთ მაგალითს მოვიტანთ: როგორც უკვე მრავალჯერ ითქვა, ძველ ქართულ ცეკვებში კარგად იკვეთებოდა ქალის კულტი. მაშინდელი ქართული კულტურა ამ ღირებულების მატარებელი იყო. ახლანდელი ქართული კულტურა (იქნებ უფრო მოდა) ქალისა და მამაკაცის ურთიერთობას უფრო სხვა თვალთუყურებს. კონკრეტულად: ათანასწორებს მათ, რაც ცეკვის შემთხვევაში ნიშნავს – იხტუნოს ან ფეხის წვერებზე იდგეს კაცივით, იკენწალოს ხმლით და ა.შ. მაგრამ ეს უკვე სხვა კულტურაა, სხვა ესთეტიკაა (რამდენად მისაღები – ეგ უკვე სხვა თემაა!). ეს უკანასკნელი მიდგომა იქნებ დროის შესაბამისად გამართლებულიც კი იყოს, მაგრამ ძველი და ახალი კულტურის

ასეთი მექანიკური გაერთიანება, ერთი მხრივ, ქალის კულტი და, მეორე მხრივ, კაცთან გათანაბრებული ქალი, შარვლითა და მხედრული, მეომრული თვისებებით, შეიძლება ითქვას, ძნელად შესაგუებელია ერთმანეთთან.

ამ დილემიდან გამოსვლის ერთადერთ გზად მიგვაჩნია: ძველის შენარჩუნება იმ სახით, რა სახითაც საუკუნეების გამოვლით მოვიდა ჩვენამდე და ამის პარალელურად ახალი ცეკვების შექმნა, რომელიც ბოლომდე, ცხადია, არ იქნება და ვერც იქნება მოწყვეტილი ძველ ტრადიციებს. არ გამოვირიცხავთ, რომ „ახალმა ქართველმა“ ამგვარი ახალი ცეკვები უფრო მოინონოს, მათ მიანიჭოს უპირატესობა, ბაზარზეც უკეთ გაიყიდოს, როგორც ახლა უყვართ თქმა, უფრო კონკურენტუნარიანი გამოდგეს, მაგრამ მათ ქართული ხალხური ცეკვა არ უნდა ენადნოს და არც ასეთი ცეკვების შემსრულებელ ანსამბლებს ერქვათ ქართული ფოლკლორული ცეკვის ანსამბლები... ხოლო მათ შორის რომელია უკეთესი, დაე, მომავალმა საუკუნეებმა და თაობებმა გადაწყვიტონ.

ქართულ ხალხურ ცეკვებში რაიმე „კორექტივების“ წინააღმდეგ რომ გამოვდივართ (ვიმეორებთ, ლაპარაკია ძირძველ, უნიკალურ, საუკუნეების ტრადიციების მქონე ქართულ ხალხურ ცეკვებზე) ჩვენ ამით იმის თქმა სულაც არ გვინდა, რომ ჩვენი ფოლკლორული ანსამბლები რომელიმე ქართული ცეკვის („ქართული“ იქნება იგი, თუ განდაგანა“) მხოლოდ რომელიმე ერთადერთ ვარიანტს უნდა ასრულებდნენ. პირიქით, ჩვენ გვინდა, რომ მისი სულ სხვადასხვა ვარიანტი თუ დიალექტი (კუთხეებისა და რეგიონების მიხედვით) წარმოჩინდეს სცენაზე. საამისოდ ამ ვარიანტების მოძიება, მათი აღმოჩენა და გაცოცხლება საჭიროა. თუ ამას „განვითარებას“ დავარქმევთ, ჩვენ ასეთი განვითარების სანაღმდეგო არაფერი გვაქვს. პირიქით, ამა თუ იმ ცეკვის რაც უფრო მეტი ვარიანტი (დიალექტი) დაიძებნება და მიენოვება მაცურებელს, მით უკეთესი ჩვენი კულტურისათვის. ოღონდ ეს აუცილებლად ძირძველი ქართული ხალხური ცეკვის ვარიანტი უნდა იყოს და არა გათანამედროვეებული ცეკვა.

რამდენადაც ჩვენ ვიცით, ასეთი კამათი (დისკუსია) ქართული ხალხური სიმღერის სპეციალისტთა შორისაც მიმდინარეობს. იმის გათვალისწინებით, რომ სიმღერას მაინც თავისი სპეციფიკა გააჩნია. ვთვლით, რომ იგი სცილდება ჩვენი კომპეტენციის ფარგლებს და ამიტომაც თავს შევიკავებთ ამ დისკუსიაში ჩართვისაგან, თუმცა იმას კი ნამდვილად ვიტყვი, რომ ქართულ ხალხურ სიმღერებსაც ისევე უნდა მოფრთხილება და მოფერება-მოსათუთება, როგორც ქართულ ცეკვას.

ქართული ხელოვნების დარგებიდან მხოლოდ ერთადერთი – ხუროთმოძღვრება – ითმენს, ჩვენი აზრით, ჩარევას, რესტავრაციას, ანუ იმის აღდგენას, რაც იყო და აი, რატომ: ხუროთმოძღვრული ძეგლების გარკვეული ნაწილი ან დანგრეულია ან სერიოზულად არის დაზიანებული (კედლები აქვს ჩამონგრეული, სახურავი გადახდილი და ა. შ.) ეს უნიკალური ძეგლები დროთა განმავლობაში კიდევ უფრო ზიანდებიან წვიმით, თოვლით, ქარით, სიციხით და ა. შ. ამიტომ მათთვის კედლების გამაგრება, გადახურვა და ა. შ. თუნდაც იმიტომ არის აუცილებელი, რომ ის მაინც არ დაინგრეს, რაც დღემდე არის გადარჩენილი. ამასთან, ნებისმიერ ძეგლს ეტყობა – რაა მასში ძირ-

ძველი და რა – რესტავრირებული, შემდეგ საუკუნეებში დაშენებული (სამწესბაროდ, ჩვენი „კირითხურონი“ თავიანთი ოსტატობით ვერ უტოლდებიან გელათის, სვეტიცხოვლის, ნიკორწმინდის და სხვა ძეგლთა ამგებ დიდოსტატებს). ამდენად, აქ „ჩარევა“ არსებული უკიდურესად მწვავე მდგომარეობითაა გამართლებული, რასაც ვერ ვიტყვით ხელოვნების სხვა დარგებზე, მათ შორის ცეკვაზეც.

მაგრამ დაეუბრუნდეთ ისევ ცეკვას: ძირძველი, უნიკალური ქართული ხალხური ცეკვის იმ სახით შენარჩუნების საჭიროება და აუცილებლობა, რა სახითაც მათ ჩვენამდე მოაღწიეს, კიდევ უფრო იკვეთება დღეს – გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში.

ჩვენ არ დავინებთ იმის გარჩევას, თუ რა არის გლობალიზაცია, რატომ უპირისპირდებიან ასე მწვავედ ერთმანეთს გლო-

ბობას გლობალიზაციასთან, ერთი რამ, რაც ამთავითვე უნდა ითქვას, ეს ისაა, რომ ერებისა და ეროვნული კულტურების გლობალიზაცია არავითარ შემთხვევაში არ უნდა ნავიდეს ერთა და ეროვნულ კულტურათა შერწყმას, მათი უნიკალურობისა და განუმეორებლობის ხელყოფის გზით.

ეროვნული კულტურის გლობალიზაცი-აში, თუკი ასეთზე საერთოდ შეიძლება ლაპარაკი, უნდა ვიგულისხმოთ კულტურათა დიალოგი, მათი ურთიერთგამდიდრება, ოღონდ მათი მრავალფეროვნების შენარჩუნებით. და ეს იმიტომ, რომ მსოფლიო კულტურა მით უფრო საინტერესო და მიმზიდველი იქნება, რაც უფრო მეტი ეროვნული კულტურები შევლენ მის შემდაგენლობაში. როგორც ფერთა სიუხვე უხდება ბუნებას, ასეა აქაც, დიდი შოთა რუსთაველი ბრძანებს:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,

ზეგარდმო არსნი სულითა ყენა ზეცით მონაბერითა, ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერთა“.

არა გვგონია, აქ მაინც და მაინც ბუნების სიჭრელე და მრავალფეროვნება იგულისხმებოდეს. ქვეყანა უთვალავ ფერთა გარეშე ვერც რუსთაველს წარმოუდგენია და არც იქნებოდა საინტერესო. ცალკეული ფერების გაქრობა არაფერს სასიკეთოს არ მოუტანს კაცობრიობას, ხოლო ეროვნული კულტურების გათქვევად რომელიმე დიდი ხალხის, ან სულაც „მსოფლიო კულტურაში“ ფერთა გამას იმ დონემდე გააფერმკრთალებს, რომ ნაკლებად საინტერესოს გახდის მას. დააკვირ-

დით: რაც იყო „ყველაფერი“, უცებ გახდება „ერთფერი“ (ერთფეროვანი, ერთფეროვნული), ან რაც კიდევ უფრო საშიშია – „არაფერი“.

ეს მსჯელობა გლობალიზაციაზე (ვრცლად ამ საკითხზე იხილეთ: რ. ბალანჩივაძე, ანთროპოლოგიური პედაგოგიკა, 2011) იმისთვის დაგვჭირდა, რომ გვეჩვენებინა, თუ რა საშიში ძალაა იგი კულტურისათვის, თუ გლობალიზაციის პროცესმა სწორი მიმართულება არ მიიღო. ახლა თუ ამ მსჯელობას ქართულ ცეკვას მივუსადაგებთ, დავრწმუნდებით, რომ გლობალიზაციის პირობებში მისადმი მზრუნველობა და მოფრთხილება კი არ უნდა შენდებოდეს, არამედ კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს. ერთი რამ, რაც ამთავითვე უნდა ითქვას, ეს ისაა, რომ ერებისა და ეროვნული კულტურების გლობალიზაცია არავითარ შემთხვევაში არ უნდა ნავიდეს ერთა და ეროვნულ კულტურათა შერწყმის, მათი უნიკალურობისა და განუმეორებლობის ხელყოფის გზით.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ჩვენ კიდევ ერთხელ გვინდა გავიმეოროთ: ძველი ქართული ხალხური ცეკვები უნდა დავტოვოთ ისე, როგორც ისინი მიიღო და აღიარა მთელმა მსოფლიომ და რომელთაც იგივე მსოფლიომ თავის კულტურულ საგანძურში მიუჩინა ბინა. რაც შეეხება ახალ ცეკვებს, ისინი, ცხადია, უნდა შექმნას (ქართველი კაცის ფანტაზიას და გამომგონებლობით ნიჭს საზღვარი ხომ არა აქვს), მაგრამ მათ ქართული ხალხური ცეკვები არ უნდა ენადნოს და არც ასეთი ცეკვების შემსრულებელი ანსამბლები არ უნდა ინდონ ქართული ფოლკლორული ცეკვის ანსამბლებად.

პროფ.
რიკვაზ პალანჩივაძე
პროფ.
რაიზო ჭანიშვილი



ქართული ცეკვის ისტორია

მსოფლიო ხალხთა ცეკვები

ხალხური „ყეენობა“ და მისი ქორეოგრაფიული სხე




ქართულმა ისტორიულმა ყოფამ შექმნა, შემოინახა და ჩვენამდე მოიტანა სხვადასხვა მოვლენისადმი მიძღვნილი ხალხური სანახაობები, რომელთა ფორმასა თუ შინაარსში ქორეოგრაფიულ ელემენტებს უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ხშირად ხალხური სანახაობის ქარგა, მისი სიუჟეტური დინება, მთლიანად ქორეოგრაფიულ პანტომიმზე, პლასტიკაზე, გამომსახველობით მოძრაობებზეა აგებული, ცხადია, აქ გარკვეულ როლს თამაშობს მუსიკალური მასალა, სიტყვიერი თანხლება, გარდასახვის ნიჭი, ჩაცმულობა-ალკაზმულობა და სხვა დეტალები, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ხალხური შემოქმედება თავისი არსით სინკრეტულია, მთლიანია და სწორედ ამით ინარჩუნებს ადამიანებზე ზემოქმედების ძალას.

შემორჩენილ ხალხურ სანახაობათა რიგში, გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს ქალაქური ცხოვრების პირობებში შექმნილი საკარნავალო ნიმუშები, მათ შორის „ყეენობა“. კვლევა ადასტურებს, რომ ამ სანახაობის ცალკეული ელემენტები, თუ ვარიანტები დასტურდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ან სულაც მის ფარგლებს გარეთაც, მაგრამ თავისი მასშტაბური, თეატრალიზებული-ქორეოგრაფიული სურათის სახით, იგი ჩვენამდე მაინც ქალაქური, უფრო ზუსტად, თბილისური სანახაობის სახით მოვიდა. განსაკუთრებული პოპულარობით იგი მე-20 საუკუნის დასაწყისამდე სარგებლობდა. ამ დრომდე მას აშკარად გამორჩეული მხატვრულ-ფოლკლორული მრავალფეროვნება და ხალხური ხელოვნებისათვის უშუალოდ ახასიათებდა. მომდევნო ეტაპზე კი „ყეენობამ“ გარკვეული სოციალური ფილტრი გაიარა და უკვე ზემოდან ორგანიზებულ, ანუ საგანგებოდ დადგმულ საკარნავალო სანახაობად იქცა, თუმცა არც ძველი სახე დაუკარგავს.

წარმოშობისთანავე „ყეენობა“ ქვეყნის, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული ყოფის ამსახველი საკარნავალო სახილველი იყო. ისტორიკოსთა ვარაუდით, მას საფუძველი ჩაეყარა მონღოლთა ბატონობის დროიდან, საყაენოსა და მისგან მოტანილ-დანერგული ნეს-ჩვეულებების გაცნობის შემდეგ. სანყის ეტაპზე, ალბათ, მართლაც ასე იყო, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან „ყეენობაში“ აღმოსავლური მუსულმანური სამყაროს წინააღმდეგ ქართველი ხალხის განუწყვეტელი ბრძოლების განზოგადებული სურათი იკითხება. ალბათ, არც ის არის შემთხვევითი,

რომ თბილისში „ყეენობის“ გასამართავად შერჩეული იყო დიდმარხვის პირველი დღე, ე.წ. შავი ორშაბათი. ეს ფაქტიც ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „ყეენობის“ ცნება და მასთან დაკავშირებული მოვლენები ხალხის ისტორიულ მეხსიერებაში რაღაც არასასიამოვნოსა და ტრაგიკულს უკავშირდება. მიუხედავად ამისა, სანახაობას მაინც მკვეთრად გამოხატული სა-



კარნავალო, სალაღობო და თავშესაქცევი ხასიათი აქვს.

ამ სანახაობის მომსწრე და მონაწილე პირების ცნობით, რომელთა შორის ქართველი სცენისმოყვარე გიორგი ბარელიც (ყანჩელი) იყო, დღესასწაულისათვის მზადება ქალაქის უბნებში ჯერ კიდევ რამდენიმე დღით ადრე იწყებოდა. განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებდა ჯორ-აქლემების ქარავნის შეკრება-მომზადება. მათი რაოდენობა ხომ ხშირად ერთ ასულს აჭარბებდა, გ. ბარელის ცნობით, ასეთი ქარავანი საგანგებოდ ჩამოდიოდა ბორჩალოს მახრიდან. საჭირო იყო საკარნავალო მსვლელობის მონაწი-

ლეთა შერჩევა, თვითონ „ყაენის“ და მისი თანმხლები პირების, ასევე მეზურნეთა დასტის, მოცეკვავეთა ჯგუფების, უბრალო მასის მომზადება და ა.შ.

მსვლელობის მოსაწყობად ათი აქლემი იკაზმებოდა მდიდრული კურტან-ჩარდახით, მათ შორის ერთი განსაკუთრებულად. იგი უშუალოდ „ყაენის“ კუთვნილება იყო. მოსაკაზმავად გამოიყენებოდა აბრეშუმი და ოქრო-ვერცხლის ფუნჯები. „ყაენი“ უზარმაზარი ტანის, შავი ნვერულვაშით დამშვენებული კაცი იყო, მას ავისმომასწავებელი ჩაცმულობა, გამოხედვა და დიდი კეხიანი ცხვირი უნდა ჰქონოდა, ეს დეტალები, ხალხის აზრით, განსაკუთრებული ძალით წარმოაჩენდა „ყაენის“ უარყოფით ხასიათს, მის დაუნდობლობასა და სისხლისმსმელობას. ამ თვალსაზრისით მას არც თანმხლები ნაზირ-ვეზირები ჩამორჩებოდნენ. მთელი ამაღლა გრიმში იყო ჩამჯდარი. „ყაენს“ ყველა თითზე ბეჭედი ეკეთა, ტანსაცმელს ყალბი ფირუზები და თვალმარგალიტი უმშვენებდა. სანახაობის ყველა მონაწილეს ძაბრისებრი მოყვანილობის ლურჯი ქაღალდის ნონოლა ქუდი ეხურა. „ყაენის“ ქუდს, ჩალმას კი ძვირფასი თვლებით მოჭედილი ნახევარმთვარე ჰქონდა მიმაგრებული, წინ გამოსულ ბელადს უკან მდივანი მიჰყვებოდა, ხოლო ნაზირ-ვეზირები გვერდიდან მოსდევდნენ, მდივანს ხელში დიდი ტყავის დაფორთხა და ფრინველის მოზრდილი ფრთით შეიცნობდით. სახედ-



ბოშური საქვები

ბოშების ცეკვები და სიმღერები ერთ დროს მეტად პოპულარული გახდა პოსტ-საბჭოთა სივრცეში, რაც განაპირობა ამ ხალხის ყოფა-ცხოვრებაზე გადაღებულმა ფილმებმა. ყველას ახსოვს ბუდუღალი ფილმიდან „ბოშა“, ფილმი „ბოშათა ბანაკი ცას მიემგზავრება“ და მრავალი სხვა.

ბოშები — თავისუფლების მოყვარე და დაუმორჩილებელი ხალხია. მათ ცხოვრებაში მთავარია გზა, მუდმივი ძიება ბედობისა. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ეა ხალხი შემოქმედების ნიჭითაა დაჯილდოვებული. მათი სიმღერები გვიამბობენ ამ ხალხის არცთუ იოლ ცხოვრებაზე, უსაზღვრო სიყვარულზე და თავისუფლებაზე, რაც ბოშათათვის ყველაზე ძვირფასია. ბოშების ენის ცოდნა არც არის აუცილებელი იმის გასაგებად, თუ რაზე მღერიან ისინი. იგივე შეიძლება ითქვას ბოშათა ცეკვებზე. ისინი გადმოგვცემენ სხვადასხვა ემოციებს: ვნებას, სიყვარულს, ტკივილს, სიძულვილს...

თანამედროვე ბოშები უკვე აღარ ეძებენ ბედნიერებას გზაში, ისინი სხვა ეთნიკური ხალხების მსგავსად ჩვეულებრივად ცხოვრობენ. მაგრამ სხვა ქვეყნებში მაინც შემოჩნენ ბოშები, რომლებიც მყარად ინარჩუნებენ წინაპართა ტრადიციებსა და ნეს-ჩვეულებებს. ბოშური ცეკვები გამოირჩევა ემოციურობით, ენერგიულობით. ჭრელ-ჭრულა ნათელი კაბები, ყელსაბამების ჩხარა-ჩხური, განუმეორებელი მუსიკა — ყველაფერი ეს თავისებურ კოლორიტს სძენს მათ ცეკვებს. გამოყოფენ ბოშური ცეკვების სამ ძირითად მიმართულებას: რუსი ბოშების ცეკვები, უნგრული ბოშური და ფლამენკო. ბოშები ძირითადად სოლოს ცეკვავენ. მამაკაცების ცეკვა, როგორც წესი, უფრო ემოციური, ენერგიულია, გამოირჩევა ხელისგულების დარტყმით მუხლებზე, თეოებზე, ფეხისგულებზე, რასაც თან ახლავს ქუსლების რიტმი. ქალების ცეკვა უფრო მსუბუქი და ნარ-ნარია. ბოშების ცეკვა ლამაზია და დაუფინყარი.

დღეს ბოშური ცეკვები, ასე ვთქვათ, ხელმეორედ იბადებიან. გაიზარდა ინტერესი მათ მიმართ. ბევრი ცდილობს, იმღეროს ბოშური რომანსები და შეასრულოს ბოშური ლამაზი ცეკვები. თითქოს ეს არ არის რთული, მაგრამ ერთი რამ უნდა ითქვას, ბოშური ცეკვა რომ დახვეწილად შეასრულო, ამ ხალხის სულში უნდა შეაღწიო, მათი ბედი უნდა გაითავისო. ამ ცეკვებში ხომ სწორედაც მათი სული დევს.



გაგრძელება 14 გვ. ▶

ქართული ცეკვის ისტორია

ხალხური „ყეენობა“ და მისი ქორეოგრაფიული სხე

◀ **დასაწყისი 13 გვ.**

ეჭირა, ასეთივე პოზითა და საქციელით გამოირჩეოდნენ მისი თანმხლებნიც. ის-მოდო ხმამაღალი გნისი, მეზურნეების დასტა საომარ ჰანგს უკრავდა.

განჯის კართან შემოჭრილ მეომრებს ქალაქის დამცველები ხვდებოდნენ, ინყებოდა ბრძოლა. სცენარის მიხედვით „ყაენის“ ჯარი გაარღვევს დამცველთა რიგებს, შემოესევინან ხარფუხსა და კალოუბანს. გზადაგზა ინყებენ შემხვედრი ხალხის დახარკვას – მათ ახდენიებენ წვრილ ხურდა ფულს, რომლის ოდენობასაც მდივანი დიდი მონდომებით აღნუსხავს თავის ვეებერთელა დავთარში. ურჩობის შემთხვევაში ნაზირ-ვეზირები და ჯარისკაცები ლახტის ცემით (ცხენის ან ძროხების კუდი) მიათრევენ „ყაენთან“. ეს უკანასკნელიც მაშინვე სამართალს გაარჩევს, დახარკვას ურჩს და ათავისუფლებს. ასე გრძელდებოდა ძველი თბილისის ყველა უბნის შემოვლამდე. ამასობაში შუადღეც ახლოვდებოდა და ნადავლითა თუ ტყვეებით ავსებული „ყაენის“ ლაშქარი ისნის განთქმულ უბანს, ავლაბარს უახლოვდებოდა. აქ კი მოულოდნელად გამოჩნდებოდა ქართველთა ლაშქარი, თავს ეხსმობდა მომხდურს და ამარცხებდა მას. „ყაენი“ თავისი ამალით გარბის ნავთლულისაკენ. ქართველები მას უკან მისდევენ, სამასი არაგველის ხიდამდე და აქ ყველაფერი იმით მთავრდება, რომ „ყაენს“ წყალში გადაუძახებენ. ამის მერე მონაწილენი მიაშურებენ ორთაჭალის განთქმულ ბალებს და დიდ თბილისურ ლხინს ეძღვებიან.

„ყეენობის“ ჩვენ მიერ აქ მოტანილი აღწერა, რომელიც თვითმხილველისა და მისი უშუალო მონაწილის მოგონებებს ეყრდნობა, ცხადია, ამ სანახაობის ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენს. თანაც,

ეს არის მისი კრებით, უკვე გარკვეულ ქარგაზე ასხმული თეატრალიზებული ვარიანტი, თუმცა მას ყველა ის არსებითი დეტალი გააჩნია, რომელიც დამახასიათებელი იყო „ყეენობისათვის“. ადრეულ პერიოდში ამ სანახაობას ბევრად მეტი ხალხური დეტალი ექნებოდა. როგორც გამოკვლევები აჩვენებს, სწორად, თურმე, „ყეენობის“ მონაწილეთა შორის იყვნენ

ასევე სამშობლო მინის დაცვის, მტერთან ბრძოლის შინაგან მოთხოვნილებებს, საკარნავალო მსვლელობაში ეს ყველაფერი გადმოცემულია ხალხური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი უშუალოდ, მსუბუქი იუმორით, იმპროვიზაციაზე დამყარებული მოქმედებებით. სწორედ ამით არის იგი საინტერესო და საყურადღებო.



„მეფე“ და „დედოფალი“. რადგან სანახაობანი უბან-რაიონის მიხედვით იმართებოდა „ყაენი“ რამდენიმე იყო. უბნის „ყაენს“ უფლება არ ჰქონდა სხვაგან, გადასულიყო და იქ აეკრიფა ხარკი. ასეთ შემთხვევაში ყაენსა და მის თანმხლებ ამაღას აუცილებლად ჩხუბი მოუხდებოდათ სხვა რაიონის ანალოგიურ ჯგუფთან. „ყეენობის“ აუცილებელ ატრიბუტთა შორის არის თეატრალური მასობრივი პანტომიმა, მუსიკალური თანხლება, ცეკვები, საერთო მხიარულება, „ყაენის“, ასევე „დედოფლის“, წყალში გადაგდება და ა.შ. ყველა ეს მომენტი მტკიცედ უკავშირდება ადამიანთა შეხედულებებს ბუნების მწარმოებლური ძალების, სიცოცხლე-სიკვდილის და წყლის მაცოცხლებელი ძალის შესახებ წარმოდგენებს,

ლილი გვარამაძის აზრით, „ყეენობას“ „... თან ახლდა ცეკვები, უმთავრესად, კომიკური ხასიათისა. ცეკვები შეადგენდნენ ძირითადს თუ არა, ყოველ შემთხვევაში, დიდმნიშვნელოვან მომენტს ამ ხალხურ სანახაობაში. ვგულისხმობთ, რომ ეს იყო „კინტორის“ ან „ბაღდადურის“ ტიპის ცეკვები“ (ლ. გვარამაძე, ქართული ხალხური ქორეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 57). ეს ვარაუდი სრულიად ლოგიკურია, თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ასეთი მასშტაბის სანახაობაში სხვა ყადის ცეკვებიც ყოფილიყო გამოყენებული. კერძოდ, აქ აუცილებლად იქნებოდა საფერხულო სვლები, იმპროვიზაციაზე აგებული ქალ-ვაჟის ტრფიალების გამოხატვითი ცალკეული ცეკვები, რომელიც, ალბათ, სიმღერისა და ტაშის რიტმზე სრულდებოდა,

რეზო ტანიშვილი,
პროფესორი

თუნდაც ძალიან იღვებოდეთ სამსახურში და გეჩვენებოდეთ, რომ არანაირი ცეკვისთვის დრო არ არის, მაინც სცადეთ კვირაში ერთხელ ცეკვის გაკვეთილზე მისვლა. ძველი ინდოელები ამბობდნენ: ცეკვა თავად ცხოვრებაა და ტყუილადაც არა. ცეკვას ისე, როგორც სხვას არაფერს, შეუძლია, სასიცოცხლო ენერჯით აავსოს და ახალი ფერები შემატოს თქვენს ცხოვრებას.

ცეკვა ვახშვად და სადილად

დიდი ხანია ნამღალადაა აღიარებული, რადგან განწყობის გაუმჯობესების გარდა, სერიოზულ დაავადებებსაც კურნავს. ს. ესენინის მუზა, მშვენიერი აისიდორა დუნკანი ტერმინ „ფსიქოფიზიკის“ გაჩენამდე გაცილებით ადრე ირწმუნებოდა, ადამიანის სულიერი მდგომარეობა მის ფიზიკურ მოძრაობებთან პირდაპირ კავშირშია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გარკვეული სახით მოძრაობებით ადამიანს თავის სულიერ მდგომარეობაზე გავლენის მოხდენა შეუძლია.

ცეკვის დროს ადვილად იხსნება არა მარტო კუნთოვანი დაძაბულობა, ნათლდება ცნობიერება, უმჯობესდება ემოციური მდგომარეობა და ინტელექტუალურ უნარებს. განსაკუთრებით სასარგებლო ცეკვა მათთვისაა, ვინც მიეჩნება ნეგატიური ემოციების დაგროვებას და მათთან განშორება გარშემომყოფებისათვის რისკის გარეშე არ შეუძლია. ცეკვა გამოგიყვანთ დეპრესიიდან და სამყაროს ახლებურად დაგანახებთ.

იმედიური დაავადებების რისკის შემცირება, ნივთიერებათა ცვლისა და იმუნიტეტის ნორმალიზაცია, ძვლების გამაგრება, ოსტეოპოროზისა და მოტენილობების

ჩიოვად დახვადებებს კურნავს ცეკვა

რისკის შემცირება, ბრონქიტების გაქრობა, ასთმის მიმდინარეობის შემსუბუქება, სიარულის მანერის, წელის დაჭერის, აღნაგობისა და მოქნილობის გაუმჯობესება – ესაა ცეკვისგან მიღებული დადებითი ეფექტების მცირედი ჩამონათვალი.

ცეკვის დაწყება არასდროსაა გვიან. უკუჩვენებებიც პრაქტიკულად არ არსებობს – უბრალოდ ისეთი სახეობის შერჩევა საჭირო, რომელიც სწორედ თქვენთვის იქნება შესაფერისი, და თუ რამე ქრონიკული დაავადება გაქვთ, მეცადინეობების დაწყებამდე აუცილებლად გაიარეთ კონსულტაცია ექიმთან და ცეკვის მასწავლებელთან იმისთვის, რომ ოპტიმალური ფიზიკური დატვირთვა განისაზღვროს.

აქვე დავსძენთ, რომ სამწუხაროდ, მასალა იმაზე, თუ კონკრეტულად როგორ ზემოქმედებს ტრადიციული ქართული ცეკვა ადამიანის ჯანმრთელობასა და განწყობაზე, ვერ მოვიპოვეთ.

სალსა, ვალსი, ფოქსტროტი...

არსებობს უამრავი საცეკვაო სკოლა. შეგიძლიათ ის აარჩიოთ, რაც ტემპერამენტით უფრო მოგიხდებათ და სარგებელი უზარმაზარი იქნება. ცეკვის არჩევა თერაპევტული მიზნის მიხედვითაც შეიძლება.

სტილი „ლათინო“

დღეს ძალიან პოპულარია. მამბა, რუმბა, ჩა-ჩა-ჩა, სალსა – ნებისმიერ წვეულებაზე ყურადღების ცენტრში მოგაქცევთ. ფიგურასაც მალე შეეტყობა, რადგან მოძრაობე-

ბის განსაკუთრებულობა ისაა, რომ ცეკვაში ჩართულია მენჯის კუნთები და თეძოები. შედეგად – მენჯისა და თეძოების სახსრები ვარჯიშდება, უმჯობესდება სისხლის მიმოქცევა მცირე მენჯის არეალის ორგანოებში, ხდება გინეკოლოგიური და სექსუალური დარღვევების, ხერხემლის სარტყლის მონაკვეთის დაავადების პროფილაქტიკა. ლათინური ცეკვები ადვილად უმკლავდება დეპრესიას.

ფლამენკო

კარგია ოსტეოქონდროზის სამკურნალოდ. მეცადინეობების დროს დიდი ყურადღება ეთმობა ტანის დაჭერას. ეს ამაგრებს წელის კუნთებს, აყალიბებს მეფურ დგომას, ხსნის გულმკერდს და მხრებს.

არაბული ცეკვები

ყველაზე ამაღლებელი და სასარგებლოა ქალებისთვის. მუცლის ცეკვა მხოლოდ თავისი ფაქიზი ეროტიზმით არაა მიმზიდველი. ეს მოძრაობა განსაკუთრებულად ამუშავებს მუცლის ყველაზე ღრმა კუნთებს და დიაფრაგმას. ცეკვის დროს შინაგანი ორგანოების მსუბუქი მასაჟი, ნაწლავის მუშაობის სტიმულირება ხდება. მუცლის ცეკვა გინეკოლოგიური დაავადებების მშვენიერი პროფილაქტიკაცაა. მუშავდება ხერხემლის ყველა მონაკვეთი, რაც სხეულს საოცრად მოქნილსა და პლასტიკურს ხდის. მაგრამ ეს ყველაფერი არაა – როგორც ამბობენ, აღმოსავლური ცეკვები ისეთ ქალებსაც კი განაცდები-

ყოველგვარი წინასწარი სამზადისის გარეშე და სხვა ამგვარი. ასე სპონტანურად აღმოცენებული ცეკვა-თამაშობანი საუკეთესო საშუალებაა საერთო მხიარულებაში მონაწილეობის მისაღებად და ემოციური კმაყოფილების მისაღწევად, ქორეოგრაფიული თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია ეს გარემოება. „ყეენობის“ სიუჟეტური ქარგა, მისი აღმავალი და უწყვეტი ხასიათი სრულიად საკმარისია საიმისოდ, რომ ასეთი ცეკვა თანამედროვე სცენაზე დაიდგას. ცნობილია, რომ „ყეენობას“ და, საერთოდ, ყველიერის კვირაში გასამართი საკარნავალო სანახაობებს აუცილებელი ელემენტების პარალელურად აუცილებლად ახასიათებდა მუსიკალური თანხლება, რიტუალური მისაღმებები, სიმღერები, ლექსები, ინდივიდუალური და ჯგუფური („ლობური“) შერკინებები, მერე მისაღმება-დალოცვის სცენები, ლხინი, ქეიფი, შექცევა და ა.შ. ეს დეტალები, როგორც ქალაქური კოლორიტის დამახასიათებელი ელემენტები, შეიძლება ჩაირთოს „ყეენობის“ საერთო ქორეოგრაფიულ ნახაზში, რაც მას უფრო მდიდარსა და სრულყოფილს გახდის.

დასასრულს უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ქართულ სცენაზე ამ ტიპის სიუჟეტური ცეკვები თითქმის აღარ ჩანს. მთელი ყურადღება მაღალი სასცენო ეფექტის მქონე ცეკვებზე და მათ ოსტატურ წარმოდგენაზეა გადატანილი. ამან გარკვეული საფრთხეც კი შექმნა, რაც იმაში გამოიხატება, რომ საცეკვაო პანტომიმა სულ უფრო უახლოვდება რთულ სპორტულ სანახაობას და ეს თავისთავად იქნებ ცუდი არ არის, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენს ამოცანას უპირველესად ცეკვის ფოლკლორული სურნელის შენარჩუნება უნდა წარმოადგენდეს. აქედან გამომდინარე, „ყეენობის“ ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი ვარიანტის დადგმა ქართულ სცენაზე ქორეოგრაფიულ მრავალსახეობაში ახალ სიცოცხლეს შემოიტანდა.

ის საინტერესოა

ნებენ ძლიერ ორგაზმს, რომლებიც თავს ფრიადიულებად მიიჩნევენ.

ინდური ცეკვები

კარგი ფსიქოთერაპევტული ეფექტის გარდა, ეხმარება დიაბეტით, ჰიპერტონიითა და ართრიტის სხვადასხვა ფორმით დაავადებულ ადამიანებს. მკურნალობს არტერიულ ჰიპერტონიას.

კელტური ცეკვები

რეკომენდებულია სქოლიოზისა და ლორდოზის დროს. ასწორებს ფეხის ფორმას. ფეხების მკვეთრი, ძლიერი მოძრაობები და ზურგის სწორად და უძრავად დაჭერის აუცილებლობა პრაქტიკულად ყველა კუნთს ამუშავებს. მაგრდება ფეხებისა და თეძოების დუნდულა ნაწილები, ვარჯიშდება გულსისხლძარღვოვანი და სასუნთქი სისტემა.

ფოქსტროტი

ალცჰეიმერის ავადმყოფობის გაჩენას აფერხებს, რაც ამერიკელი მეცნიერების კვლევებით დასტურდება. განსაკუთრებით სასარგებლოა ხანდაზმული ადამიანებისთვის.

ვალსი

ყველაზე ნაზი და რომანტიკული ცეკვა. მისი შესრულება ნერვულ სისტემას აძლიერებს, დადებითად ზემოქმედებს ტვინის მუშაობაზე, ავარჯიშებს ვესტიბულარულ აპარატს და ღრმა შარბონისა და კმაყოფილების გრძობა მოაქვს.

მომზადდა
სოფიო გულიაშვილი
(eva.ge)

თამაზ ბეჟანიძე



საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი

ქართული ქორეოგრაფიის განვითარებაში შეტანილი უდიდესი წვლილისათვის და განსაკუთრებით აჭარის საცეკვაო ფოლკლორის საუკეთესოდ წარმოჩენისათვის ქორეოგრაფი

თამაზ ბეჟანიძე

დაჯილდოვდეს საქართველოს სახალხო არტისტის ენვერ ხაბაძის სახელობის პრემიითა და ოქროს მედლით

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის სახელით

კავშირის თავმჯდომარე, პროფესორი რ. ჭანიშვილი

22 მარტი, 2012 წელი საქართველო, თბილისი

ქართულმა ქორეოგრაფიულმა სამყარომ უდიდესი დანაკლისი განიცადა, 70 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მოცეკვავე და გამოჩენილი ქორეოგრაფი, აჭარის დამსახურებული არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი, ბათუმის საპატიო მოქალაქე, არაერთი შესანიშნავი მოცეკვავის და ქორეოგრაფის აღმზრდელი, აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი, საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე თამაზ ბეჟანიძე. იგი დაიბადა 1941 წლის 3 ივნისს ბათუმში.

ცენტრ პროგრამაში, მასთან ერთად იმყოფებოდა ჩვენი ქვეყნის, უკრაინის, რუსეთის მრავალ ქალაქში, ეგვიპტეში, სირიაში, სუდანში. მშობლიურ ანსამბლთან შემოქმედებითი ურთიერთობა არც უმაღლესი სასწავლებლის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინსტიტუტის დამთავრების (1965 წ.) შემდეგ შეუწყვეტია. წლების განმავლობაში ანსამბლთან ერთად მონაწილეობდა კონცერტებში, სახალხო დღესასწაულებში, საერთაშორისო ფესტივალებში.

სამოცდახუთ წელზე მეტი მუხლანაზრდად ემსახურა სათავეებზედ ქართულ ცეკვას, მას შემდეგ, რაც მშობლებმა ოთხი წლის პატარა ბიჭი ცნობილი მოცეკვავეს თემელ მიქელაძეს მიაბარა. ნამდვილ ქორეოგრაფიულ ხელოვნებას კი საქვეყნოდ ცნობილი ქორეოგრაფის ენვერ ხაბაძის ხელმძღვანელობით ეზიარა ანსამბლ „გაზაფხულში“.

1974 წელს დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო თეატრალური ხელოვნების ინსტიტუტის ქორეოგრაფიული განყოფილება.

თამაზ ბეჟანიძე 32 წელი ხელმძღვანელობდა ბათუმის მოსწავლე ახალგაზრდობის პარკის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „გაზაფხულს“. პარალელურად ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას, 1974-1990 წლებში იყო აჭარის მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების ქორეოგრაფიული განყოფილების გამგე. მისი უშუალო ხელმძღვანელობით საზოგადოებასთან შეიქმნა ვეტერანთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „მაჭახელა“ და ახალგაზრდული ანსამბლი „ბათუმი“. ამ ანსამბლებმა ქართული ცეკვის ხიბლი გააცნეს და შეაყვარეს ლიტველ, რუს, ბერძენ, კვიპროსელ, პოლონელ, ჩეხ, ბულგარელ და ჰოლანდიელ მაყურებელს.

თამაზ ბეჟანიძე ჯერ კიდევ საშუალო სკოლის მოწაფე იყო, როცა ბათუმის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლთან ერთად გამოდიოდა თბილისში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკანოზის, მსოფლიო ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მე-6 საერთაშორისო ფესტივალზე მოსკოვში, 1957 წელს.

ბათუმის № 1 ვაჟთა ქართული საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, 1958 წელს, თამაზ ბეჟანიძე ჩაირიცხა აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლში. ახალგაზრდა ნიჭიერი მოცეკვავე აქტიურად მონაწილეობდა ანსამბლის საკონ-

ხორციელა მოსკოვის სახალხო ანსამბლ „კოლხიდაში“, სკოლა-სტუდია „ივერიში“, სომხეთის ტ. ალთუნიანის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატულ თეატრში.

1990 წელს თამაზ ბეჟანიძე ერთხმად აირჩიეს საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარედ, სადაც წარმატებით მოღვაწეობდა სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე. 2004 წლიდან გარდაცვალებამდე იყო აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი. ამ შესანიშნავ ანსამბლში კიდევ ერთხელ გაიღვრა თამაზ ბეჟანიძის შემოქმედებითა და ორგანიზატორულმა ნიჭმა, მან გარს შემოიკრიბა ახალგაზრდა ხელოვნები და ახალ სიმალეებზე აიყვანა ის დიდი შემოქმედებითი ტრადიციები, რომლებიც ყოველთვის ჰქონდა 90 წლის ამ სახელოვან ანსამბლს. ამის დასტურია ანსამბლის სტუმრობა თბილისში 2009 წელს, სადაც თბილისელი მაყურებელი აღფრთოვანებით ასევე მათ ახალ პროგრამას. ასევე თვალსაჩინო იყო გამარჯვებები დამასკოს (სირია) 2006-2007 წლებს და ბურსის (თურქეთი) 2011 წლის დიდ საერთაშორისო ფოლკ-

ლორულ ფესტივალ-კონკურსებზე, სადაც ანსამბლმა უმაღლესი ჯილდო – გრანპრი მოიპოვა.

ამის დასტურია წარმატებული გასტროლები ბულგარეთში, თურქეთში, სირიაში, საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთში...

„ნებისმიერი ადამიანის ცხოვრება ერთი დიდი წიგნია“ – ბრძანებს დიდი მწერალი და თამაზ ბეჟანიძის ცხოვრებაც ერთი შესანიშნავი წიგნი გახლდათ, რომლითაც ვამაყობდით მისი მეგობრები, კოლეგები, აღზრდილები და აღსაზრდელები. ჩვენდა სამწუხაროდ, ეს წიგნი 2012 წლის 24 მარტს დაიხურა... არადა, როგორ ვემზადებოდით თბილისში 29 მარტისათვის, ამ დღეს სამების საკათედრო ტაძარში თამაზ ბეჟანიძის შემოქმედებითი საღამოს

გამართვა გვესურდა საიუბილეო 70 წლისთავის აღსანიშნავად. არ დაგვცალდა, ბოლომდე ვერ მოვეფერეთ... ველარ მოვასწარით მისთვის გამოჩენილი ქართველი ქორეოგრაფის ენვერ ხაბაძის სახელობის პრემიისა და ოქროს მედლის გადაცემა... 29 მარტს თამაზ ბეჟანიძეს სამუდამოდ მიიბარებს მშობლიური ბათუმის მიწა. გვანუგებებს ის, რომ მის მიერ „გულის სისხლ“ გაღებული შემოქმედებითი მოღვაწეობა ღირსეულ ადგილს დაიკავებს ქართული ქორეოგრაფიის, კულტურის ისტორიაში, ხოლო მისი სახელი მარადუამს იცოცხლებს მისი ოჯახის, მეგობრების, კოლეგების და მრავალრიცხოვანი აღზრდილების სსოვნაში.

რეზო ტანიშვილი, ფრიდონ სულაბერიძე, ომარ მხინძა, გივი სპინა, ნინო შივაშვილი, მანანა აბაზაძე, ფატმა კობალაძე, რეზო ჭოხონაძე, ზაურ ლავროვილი, ოლეგ ალბაიძე, ურა დვალაძე, იური ტორაძე, ნუზარ ჯიშარი, ატირ რაზიანიშვილი, ჯუშუა დუნდუა, დავით ნულუპია, გომი ჩაჩავა, ზაურ პაპიაშვილი, თეიმურაზ ბაბრატიანი, რეზო ტანიშვილი, ნინო ტანიშვილი, გივი სურვილაძე, ჰამლაქ ილიაშვილი, თეიმურაზ ბიბიანიშვილი, ლაბაზა უთხაიძე, ვანო დვინარი, ჯემალ რეზიანიშვილი, თამაზ გომოტივილი, თეიმურაზ ჩხაიძე, გელა დვინარი, ანდროს გვარამაძე, ენვერ ბუჯაბაძე, კიკა დუნდუა, ირაკლი ცაიციანი, ახსა დვინარი, პორის საპაძე, ალექსანდრე ქართველიშვილი, ტარიელ გომიანიშვილი, შალვა უზუნაძე, გიორგი ტანიშვილი, გელა ტანიშვილი, გურამ ბაგრატიანი, ამირან გომოტივილი, სოფიო იაშვილი, ჯემალ ბარუაძე, ჯემალ გომიანიშვილი, თამაზ კიკელიანი, თეიმურაზ სუხაშვილი, ავთანდილ ლომთაძე, კონსტანტინე ნიძაბაძე, გულო მითაძე, ზაურ ბარბაქაძე, ალექსანდრე ზაქაძე, ჯემალ ჩიჩუა, თეიმურაზ ჯავახიშვილი, თამაზ მუსია, მელისი ნადირაძე, ნოდარ აბულაძე, ავთანდილ გურბანიძე, გივი სურვილი, ვანო ფიქიანიშვილი, მარკო დვინარი, თეიმურაზ ტორაძე, გორა გრემიანიშვილი, ლეოპოლდ დიასამიძე, ლონდა უზუნაძე, გორა ყვალაძე, ზაურ მთავრანი, ჯემალ ენიავა, რეზო ბულია, გიგლა თურაძე, თეიმურაზ ტანიშვილი, გელა ცაიციანი, ამირან პაიჭაძე, ახმედ აბაღია, ვაჟა ახვლედიანი, მარკო მორჩილაძე, ანდროს კუპრაძე, თეიმურაზ ტანიშვილი, საგონ მანაძე, თამაზ მითაიანი, ნაზი დევაძე, ნუზარ მითაძე, თამაზ ცინცაძე, სოსო ხალვაში, გელა კაჭარავა, რაფიელ მითაძე, ნოდარ კაპაძე, რინე პეიძე, ავთანდილ გვიანიძე, სპირიდონ სურბანიძე, გურამ გომეზაძე.

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი და მისი ყველა წევრი ღრმად მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მოცეკვავე და გამოჩენილი ქორეოგრაფი, აჭარის დამსახურებული არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი, ბათუმის საპატიო მოქალაქე, არაერთი შესანიშნავი მოცეკვავის და ქორეოგრაფის აღმზრდელი, აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი, საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე

თამაზ ბეჟანიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს, კოლეგებსა და აღზრდილებს.

სამეზის ტაძარი

„მოცეკვავემ იმ დროს უნდა დატოვოს სცენა, როცა ჯერ კიდევ აღტაცებაში მოჰყავს პროფესიონალი მაყურებელი“ – თქვა და წავიდა. 1982 წელს, გამოსამშვიდობებელი საღამო მოუწვევს საქართველოს სახალხო არტისტს, ქართული თეატრული ცეკვის მშვენიერს – ქალბატონ ლატავრა ფოჩიანს. ზუსტად 30 წლის შემდეგ ლატავრას, სახელად ლატავრა ფოჩიანს იხსენებდნენ საღამოზე, რომელიც ამ უნატიფეს, უკითელშობილეს, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულ ქალბატონს მიუძღვნეს საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირმა და სამების საკათედრო ტაძართან არსებულმა ახალგაზრდულმა და კულტურული აღორძინების ცენტრმა. საღამოზე მრავლად შეიკრიბნენ ლატავრა ფოჩიანის მეგობრები, კოლეგები, ახლობლები, უბრალოდ მისი ხელოვნების თავყვანისმცემლები.



ლა, აღარ უცეკვია. მას შემდეგ ლატავრა ფოჩიანმა მხოლოდ ერთხელ იცეკვა. ოლონდ, არა სცენაზე, არამედ მთავრობის სახლის წინ – მან ეს ცეკვა საქართველოს დამოუკიდებლობას მიუძღვნა. ქართული ცეკვის ლატავრას ისეთი აღმადგენით არასოდეს უცეკვია, როგორც იმ დღეს, რადგანაც ის სრულიად საქართველოსთვის ცეკვავდა. სტუმრებს მიესალმა და ლატავრა ფოჩიანის ხსოვნის სა-

ქართული შაკვის სნივნათელი პარსკვლავი (ლატავრა ფოჩიანის ხსოვნის საღამო)

ლამო შესავალი სიტყვით გახსნა ცენტრის ხელმძღვანელმა, პოეტმა ერეკლე სალიანმა, რომელმაც საღამოს წამყვანის როლიც იკისრა.

„ყოველთვის, სცენაზე გასვლისას საოცრება ხდება – უწონადი ვხდები, სადაც მივექნები, თითქოს ზეცისკენ, ყველაფერი მავინყდება, აღარაფერი მესმის, ვეღარც ვხედავ. ვკარგავ შეგრძნებას და ვხვდები განსაკუთრებულ სამყაროში – მე ვცეკვავ!“ – ამბობდა ლატავრა, რომელიც 2011 წლის ოქტომბრის მინურულს აღესრულა და ჭეშმარიტად ზეცისკენ გაფრინდა, ზეცით დიდ საქართველოს შეერწყა. ერეკლე სალიანმა ეს და მისი კიდევ არაერთი გამოწვევაში შეახსენა შეკრებულთ. შემდეგ, ნათქვამის სისწორეში დასარწმუნებლად, საბედ-

ნიეროდ შემონახული მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ცეკვავეს ლატავრა ფოჩიანი“ უჩვენეს. ამ ფილმმა რამდენიმე წუთით დაგვაბრუნა იმ საოცარ სამყაროში, რასაც ქართული ცეკვა ჰქვია, გავგახსენა გამოჩენილი ქორეოგრაფები, დიდებული მოცეკვავეები, რომლებიც იდგნენ ქართული საცეკვაო ხელოვნების აღორძინების სათავეებთან. ლატავრას გვერდით ვიხილეთ ქართული ცეკვის ლატავრები ნუზარ ჯიჭიერი, ფრიდონ სულაბერიძე და სხვანი. ყურადღების ცენტრში კი, ბუნებრივია, კვლავ ლატავრა ფოჩიანი იყო, რომლის ცეკვასაც ადარებდნენ „გელის ცურვას, ატმის კვირტების აფეთქებას და ფრესკას მოლივლივს“. მას პოეტები ლექსებს უძღვნიდნენ, იგი იყო მხატვრების მუზა, ადამიანები

კონცერტზე ხშირად მხოლოდ მისი ნაწახავად მიდიოდნენ. ასე იყო იმ დღესაც, 2012 წლის 15 მარტს სამების საკათედრო ტაძარში. მოგონებებით გამოვიდნენ ლატავრა ფოჩიანის თანამედროვენი, ლატავრული მოცეკვავეები ომარ მხინძე, ფრიდონ სულაბერიძე, თენგიზ უთმელიძე, გელა დვინარი. სტუმრებს ვრცელი სიტყვით მიმართა და მობრძანებისთვის მადლობა გადაუხადა საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარემ, პროფესორმა რეზო ჭანიშვილმა. ითქვა, რომ სამების საკათედრო ტაძართან არსებულ ახალგაზრდულ და კულტურული აღორძინების ცენტრში ამგვარი საღამოების გამართვა ტრადიციად იქცევა. თელი საღამოს განმავლობაში შეკრებულ ქართული ჰანგები ატკობდნენ ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი „საგალობელი“ (ხელმძღვანელი მაია მიქაბერიძე) და 25-ე მუსიკალური სკოლის ანსამბლი.

საინტერესო ამბავი

ბჟინის განვითარების 5 გზა

ბჟინის ისევე სწორდება ვარჯიში, როგორ სხუ-

შეიცადე, ნაკლებად უყურო ტელევიზორს

შეიძლება ეს რთული აღმოჩნდეს, რად-

როგორ გრძნობ თავს, ტელევიზორის წინ

თუ დასვენება გადამწყვეტია, არ ჩართო

დაკავშირდი ფიზიკურ ვარჯიშებთან

ადამიანს, რა თქმა უნდა, უფრო მეტი ეცო-

ნაიკითხე მასსა და მისი მისი

უმეტესობას უყვარს რომანების კითხ-

აზრობრივი წიგნების წაკითხვისას, მიხე-

ვინც ადრე დაგება, ბედნიერებას, ჯანმრთელობას და ჭკუას შეიძინებს

ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება გამოისა-

ამოირჩიე დრო იმისათვის, რომ იწიქრო

უმეტეს შემთხვევაში ჩვენი ცხოვრება მო-

მიყვები ამ პატარა, მარტივ რჩევებს, თვი-

მოზილური ტელე-

თვალთახედვიდან გაქრობა ნანომილების

კომპანია NASA-მ და ჯონსონის ტექნო-

თუ არაფერი გსმენიათ ნანომილების

რით არის მარბეგელი რძე

რძე რომ ძალიან სასარგებლო პროდუქ-

ნერვებისთვის

ნერვული სისტემისა და ფსიქიკის დარღ-

ინდოელი ვედები თვლიდნენ, რომ რძე

თანამედროვე ექიმებიც ირწმუნებიან,



მოსას ხილი

ეს ხილი - ე.წ. მოსეს ხილი - მდებ-

გვერდში მასალები გამოყენებულა

ჩაღამსიისაგან

მივმართავთ ქორეოგრაფებს,

დიფსი კოსმოსში

ნივთის გამძლეობის უმაღლეს დონეზე.

კომპანია LiftPort Inc-მა უკვე შექმნა მი-

ნივთის გამძლეობის უმაღლეს დონეზე.

ჩილს არ მოგვრის, მაგრამ კუჭის სეკ-

ჩილს არ მოგვრის, მაგრამ კუჭის სეკ-

გულისთვის

რძე გულ-სისხლძარღვთა დაავადებე-

კუჭისთვის

ძალიან კარგად მოქმედებს კუჭის ლორ-

ნასას სპეციალისტებმა დადამიწის ორბიტის ხედი ვიდეოში

ნასას სპეციალისტების განცხადებით,

მუდმივ, დაჭიმულ მდგომარეობაში იქ-

რიცხავს. თავდაპირველად ნივთის გასაგზავნად

გამოთვლების მიხედვით კავსულის სიჩქარე



ვის. ის ზრდის კალციუმის რაოდენობას

სსულის ნორმალური წონისთვის

რძე, რომელსაც ზოგჯერ წონის მომატე-

მდგომარეობაში არსებობს, - აცხადებენ

ნასაში. აღმოჩენა ტელესკოპ „კეპლერის“



საქართველოს კორეოგრაფია მის.: თბილისი, ღაბით ალაფინაბლის ბაგ88. №180

სარედაქციო საბჭო: რეზო ჭანიშვილი; ოლეგ ალაფინა; რევაზ ბალანჩივაძე; უჩა დვალისხილი; ზაურ ლაზიშვილი; ნინო მდევაძე; ბესიკ სვანიძე; თენგიზ უთმელიძე.

საავტორო უფლებები დაცულია, მასალების გადაბეჭდვა რედაქციისათვის შეუთანხმებლად დაუშვებელია, ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტების, ციფრებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. მასალებს ხუთ ნაბეჭდ თაბახზე მერს ნუ შემოგვითავაზებთ. შენოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდება.

რედაქტორი ამირან ბუთურიშვილი ტელ: 2 45 49 02; 2 15 50 14; 5 70 70 18 33.